გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 126-127 (2241) პარასკევი, 28 ივნისი, 1996 წელი. ფასი 45, თბილისის გარეთ 50 თეთრი.

საქართველოს მთავრობაში

ყურადღების ცენტრშია მოსახლეობის სოციალური დაცვის პრობლემები

26 ივნისს გაიმართა საქართველოს მთავრობის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. სხდომის დღის წესრიგი მოიცავდა სოციალური ხასიათის უმთავრეს საკითხებს. ამან განაპირობა კიდეც პრაქტიკულად მათი პრინციპული განხილვის ტონი და შინაარსი, რომლებიც უშუალოდ ეხება რესპუბლიკის მოსახლეობის, მთლიანად საზოგადოების ინტერესებს.

სხდომა დაიწყო იმით, რომ გან-ლს კანონის პროექტი „სამეონო დაზღვევის შესახებ". იგი მოადგინა ჯანმრთელობის დაც მინისტრმა ავთანდილ ჯორბეძემ. დოკუმენტი, რომელიც ითისწინებს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, ზუსტად განსაზღვრავს რესპუბლიკის მოსახლეობის ცინო დაზღვევის სამართლე, ეკონომიკურ და ორგანიზაც საფუძვლებს, ანიჭებს მის სოურად დაუცველ ფენებს უმეტ ხელშეწყობის რეჟიმს და მიზ ისახავს სახელმწიფოს, საწარ, დაწესებულებათა და ორგანციათა პასუხისმგებლობისა და ინტერესების ამაღლებას. იგი უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაც მოქალაქეთა კონსტიტუციური ებების განხორციელებას. კანპროექტის შესაბამისად სამედინო დაზღვევა საქართველოში ორი ობისა იქნება — სავალდებულო ნებაყოფლობითი. სავალდებულო ორციელდება სახელმწიფო საზღვევო პროგრამის მიხედვით, ითვალისწინებს ამ პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახუის ხარჯების დაფარვას, ხოლო ყოფლობითი — სახელმწიფოს გარანტირებული პროგრამის ით ხარჯების ანაზღაურებას და იძლება იყოს როგორც კოლექტი, ისე ინდივიდუალური.

მთავრობის ეს კანონპროექტი გად/განსახილველად წარუდგინონ პუბლიკის პარლამენტს. ამასთ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ ნის მიღებისთანავე როგორც მასრულებელი ხელისუფლება. ისე ახლეობა მზად უნდა იყვნენ პრაქტიკული რეალიზაციისა.

სხდომაზე საფუძვლიანი სჯაის საგანი გახდა საკითხი ფუ სახსრების ინდექსაციის მენიზმის შესახებ, რომლებიც მოქალაქეთა ანაბრებზეა 1993 წლის კუპონის ერთჯერადი საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების შემდეგ, და მისი განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე. ფინანსთა მინისტრის დავით იაკობიძის მიერ წარმოდგენილ პროექტს მხარი არ დაუჭირეს. სახელმწიფოს ახლანდელ რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით შემუშავებული პროექტი, პრაქტიკულად ყველა გამომსვლელის აზრით, არ იძლევა მეანაბრეთათვის მიყენებული ზარალის სრული კომპენსაციის საშუალებას. ამიტომ გადაწყდა ამ საკითხს დაუბრუნდნენ უკვე მიმდინარე წლის შემოდგომაზე, რათა მეურნეობრიობის შედეგების შესაბამისად შეიმუშაონ ინდექსაციის ისეთი მექანიზმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპი. საკითხის განხილვამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სახელმწიფო არ იხსნის პასუხისმგებლობას ამ პრობლემის გადაჭრისათვის, რომ იგი, როგორც პრეზიდენტის პროგრამით არის გათვალისწინებული, აპირებს შეასრულოს დაპირება თავის დროზე გაუფასურებული ანაბრების ინდექსაციის შესახებ. როგორც სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ საკითხს დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს და ყველაფერი უნდა ილონონ, რათა მისი გადაწყვეტის დროს მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოქალაქეთა, უწინარეს ყოვლისა ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა, სოციალურად სხვა ნაკლებად დაცულთა, დღეს ყველაზე ძალიან გაჭირვებულ მეანაბრეთა ინტერესები. ამასთან დაკავშირებით კონკრეტული დავალებანი მიეცათ ამ პრობლემაზე მომუშავე მთავრობის კომისიებს.

მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული იმ საკითხის განხილვაც, თუ როგორ და რაზე იხარჯება მინისტრთა კაბინეტისა და ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ანგარიშებზე რესპუბლიკაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად შესული სახსრები. სხდომაზე მოყვანილი მონაცემებით, 1996 წლის 15 მაისის მდგომარეობით პრივატიზებულია 164 მილიონი ლარის ეს ქონება. აქედან მოსახლეობისათვის მიცემული ვაუჩერებისა და სხვა შეღავათების ხარჯზე პრივატიზებული იყო აქციათა სახით 141 მილიონი ლარის სახელმწიფო ქონება. ამრიგად, სპეციალურ ანგარიშებზე შემოსულობებმა დაახლოებით 23 მილიონი ლარი შეადგინა, ამასთან, პროგნოზირებულია, რომ 1 ივლისამდე მიიღებენ კიდევ 13 მილიონ ლარს. არადა, როგორც სხდომაზე აღინიშნა, შემოსული სახსრების საკმაო ნაწილი გაიცა კრედიტების სახით ცალკეული დარგების, საწარმოების, ორგანიზაციებისათვის, ამასთან, დღემდე არც ერთი მათგანი დაფარული არ არის, რადგან თავის დროზე შემუშავებული არ ყოფილა მექანიზმი, რომელიც ზუსტად მოაწესრიგებდა ამ სესხების მიცემასა და გამოყენებას. აღინიშნა, რომ ფაქტობრივად მეტ წილ შემთხვევებში აქ იყო ფარული დოტაცია. ამიტომაც დეტალურად უნდა გაერკვნენ ყველაფერში, გააანალიზონ რესპუბლიკაში პრივატიზაციის შედეგები და სექტემბრისათვის განიხილონ ისინი მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურების მონაწილეობით. სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძის წინადადებით გადაწყდა ამიერიდან პრაქტიკაში შემოიღონ, რომ სახელმწიფოს მიერ თითოეული კრედიტის გამოყოფა აუცილებლად იხილებოდეს მთავრობის სხდომაზე.

თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში ცნობილი მოვლენების დროს დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენისა და მშენებლობის პროგრამისა და მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების თაობაზე სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა ქალაქის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა, აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს აქ მიღწეულია გარკვეული პროგრესი. შარშან 68 ოჯახს მისცეს ბინისათვის სრული ფულადი კომპენსაცია, 28 ოჯახმა ბინები მიიღო. შემუშავებული ორწლიანი პროგრამის შესაბამისად, წელს კიდევ 50 ოჯახი შესახლდება ახალ ბინებში, დანარჩენი 180 მოქალაქე კი მიიღებს ბინებს გაისად. როგორც სხდომაზე ითქვა, სახლების მშენებლობის ტემპის დაჩქარება ბევრად განაპირობა ტენდერმა, რომლის შედეგად მოხერხდა სამუშაოთა ღირებულების არსებითი შემცირება, ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გრაფიკის განსაზღვრა. გარდა ამისა, წყდება დაზარალებული თბილისელებისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რომლებიც უნდა აისახოს 1997 წლის ბიუჯეტში. სხვათა შორის, ასეთივე დავალება ქვეყნის პრეზიდენტმა მისცა თავის რწმუნებულებსაც რეგიონებში — სამხარეო ადმინისტრაციათა მეთაურებს; კერძოდ, სამეგრელოსი, სადაც სამოქალაქო ომის დროს ბევრი საცხოვრებელი სახლი დაინგრა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დაზარალებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოთა მიმდინარეობის კოორდინაცია და მკაცრი კონტროლი.

ბიუჯეტში სახსრების გამოძებნის საჭიროებასთან დაკავშირებული საკითხები აღიძრა სხდომაზე იმ მძიმე მდგომარეობის გამოც, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელის აღსრულების მთავარი სამმართველოს დაწესებულებებში. მთავრობამ მოიწონა მინისტრის კახა თარგამაძის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებისა კოლონიებისა და სპეციზოლატორების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მსჯავრდადებულთა შრომითი მოწყობის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ. კერძოდ, მხარი დაუჭირეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინიციატივას, რომ ის პირები, რომლებიც სასჯელის ვადას იხდიან, გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროს.

სხდომაზე მოიწონეს წინათ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი არასრულწლოვანთა შორის ნარკომანიისა და დანაშაულო-

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს კანონი

საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს შექმნის შესახებ

ტრანსპორტის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების, სატრანსპორტო ბაზრის რეგულირებისა და დაცვის მიზნით, აგრეთვე საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ქვეყნის ინტეგრირებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. შეიქმნას საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო.

ამასთან დაკავშირებით, „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მე-3 მუხლს აბზაცის „სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების" შემდეგ დაემატოს აბზაცი „ტრანსპორტის".
2. მე-8 მუხლის „ბ" პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საავტომობილო ტრანსპორტის", „საზღვაო სანაოსნოს", „საქართველოს რკინიგზის", „საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის".
3. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო სანაოსნოს, საქართველოს რკინიგზის და საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტები, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემური ცენტრი და რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსი" დაექვემდებაროს ტრანსპორტის სამინისტროს".
4. ამოღებულ იქნეს მე-14 მუხლი.

II. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს ტრანსპორტის სამინისტროს აპარატის დაფინანსების ხარჯები.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 26 ივნისი.

საქართველოს კანონი

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შექმნის შესახებ

სათბობ-ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების, სახელმწიფო მმართველობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო.

ამასთან დაკავშირებით „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მე-3 მუხლს აბზაცის „საგარეო საქმეთა" შემდეგ დაემატოს აბზაცი „სათბობ-ენერგეტიკის".
2. მე-8 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სათბობ-ენერგეტიკის", „საქგაზის", „საქენერგოს", „საქნავთობის", „საქნახშირის" და ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნეს „დ" პუნქტი.
3. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „საქგაზის", „საქენერგოს", „საქნავთობის", „საქნახშირის" დეპარტამენტები და სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია „საქნავთობპროდუქტები" დაექვემდებაროს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს".
4. ამოღებულ იქნეს მე-15 მუხლი.

II. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს აპარატის დაფინანსების ხარჯები.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 26 ივნისი.

ანონსი

ევროპარლამენტის ამიერკავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის დელეგაცია საქართველოში

დაწვრილებით იხილეთ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

მორიგე რედაქტორი:

მტრულად გაზრდილი მოყვრად გამოგვადგება?!.

ოთხი წლის წინათ ვწერდი: ქუჩას ვერ გამოასწორებ „ღია საუბრებით" ტრიბუნიდან ან პრეზიდიუმიდან-მეთქი. მას თავისი ლაპარაკიც ყელში ამოუვიდა: რა რა ღირს, ვის ვისი ეშინია, ვის ვისი ვალი აქვს. ქუჩას ვერ აუჩვილებ გულს ენის მოჩლექითა და სულისდამხსნელი ჭკუის დარიგების ინსცენირებით. ის შეიძლება გაფანტო ერთი ადგილიდან, მაგრამ ხვალ სხვაგან შეიკრიბება.

ჩემამდე სხვები წერდნენ ამ პრობლემაზე, სხვებამდე — სხვები, ე. ი. იგი ყოველთვის აქტუალური იყო, რადგან საზოგადოება ძალიან განიცდიდა მოზარდთა დანაშაულს.

ახლა?

ახლაც ბევრი იწერება, მაგრამ...

ოთხი წლის წინათვე მიიღო საშიში სახე მოზარდთა დანაშაულმა. მისთვის კი არავის ეცალა — ყველა პოლიტიკით ყო გატაცებული და...

...და შედეგიც: უკონტროლო ძალა თვითონ იქცა მაკონტროლებელ ძალად, უზნეობით დაუძლურებულმა საზოგადოებამ კი წინააღმდეგობა ველარ გაუწია ძალადობასა და აგრესიულობას, ქუჩის ჯგუფები გამოვიდნენ სარდაფიდან, სხვენიდან, სადარბაზოდან, გამოსული ჯგუფები ქუჩებს მოედვნენ...

არც იმის აღიარება გვაწყენს, რომ ისინი არ ქმნიან ქცევის საკუთარ მოდელს — მხოლოდ გადაიღებენ უფროსებისაგან და ახორციელებენ ახალგაზრდობისათვის მთავარი დამახასიათებელი ნიშნების — მაქსიმალიზმისა და შეუბრალებლობის შესატყვისად.

წერილზე მუშაობისას არაერთ ქუჩის ჯგუფს გავეცანი. რამდენიმე დღე ერთადაც გაგვიტარებია.

და დავრწმუნდი:

ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან — თავიანთი გრძნობებით და პიროვნული ამბიციებით,

ისინი ისევე მოითხოვენ ყურადღებასა და პატივისცემას, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი,

მათ ისევე სჭირდებათ სიყვარული და თანადგომა, როგორც ნებისმიერ მოკვდავს,

ქუჩა სქემებში ვერ ეტევა,

საერთოდ არ შეიძლება მისი დანახვა მოწიფულ ასაკში და...

...და აუცილებელია ჩვენი თავი დავაყენოთ იმათ ადგილას, ვისი საქციელის განსჯაც განგვიზრახავს!

ამასთან, საჭიროა, აუცილებელია, გადაუდებლად აუცილებელია მისვლა ქუჩის კამპანიასთან თანასწორად სასაუბროდ. უნდა გადავლახოთ ფსიქოლოგიური ბარიერი. მოზარდთა ეჭვიან გამოხედვას წარბშეკვრით არ უნდა შევხვდეთ. ისინი ხომ სწორედ საუბრებში ამჩნევენ, ვინ დგას მათ წინაშე — პიროვნება თუ საპნის ბუშტი.

დღეს ჩვენ ყველა მივხვდით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, თუ სატკივარს თვალი მოვუხუჭეთ, ფსიქიურად დაავადებული, ზნეობრივად დაცემული თაობა შეგვრჩება ხელთ.

ეს ჩვენი მწარე სინამდვილეა!

ჩვენ, თურმე, სიტყვა-სიტყვით გაგვიგია ბრძნული შეგონება — „შვილი მტრულად გაზარდეო". აკი ამიტომაც გადავიმტერეთ.

დღეს ყველა დავინტერესდით — ჯავინტერესდით, უწინარესად, სახელმწიფო დონეზე და სწორედ ამიტომ დავარისხეთ კიდევ ერთხელ განგაშის ზარი...

ბრიფინგი

პრობლემა უშუალოდ პრეზიდენტის ყურადღების ცენტრშია

27 ივნისს გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ აბაშიძემ ჟურნალისტთა ყურადღება მიაპყრო რესპუბლიკის მთავრობის 26 ივნისის სხდომაზე განხილულ საკითხებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ბატონი ვახტანგ აბაშიძე შეეხო თურქეთის მიერ მდინარე ჭოროხზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხს. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლებათა შორის ჭოროხის ჰესების მომავლის თაობაზე ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს იდეის ჩასახვის დღიდან, რათა ჭოროხისა და მტკვრის რესურსების გამოყენების საკითხები საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და შავი ზღვის ეკოლოგიური სისტემის სრული დაცვით გადაწყდეს. ქართული მხარის პოზიცია, რომელიც ბოლოს საქართველოს პრეზიდენტის ანკარაში ოფიციალური ვიზიტის დროს დაფიქსირდა და გულისხმობს სპეციალისტების შემდგომ ერთობლივ მუშაობას ამ საკითხებზე, თურქეთის მხარემ სავსებით გაიზიარა. გარდა ამისა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიმართა თურქეთის პრეზიდენტს სპეციალური წერილით, რომელშიც ჩამოყალიბდა ქართული მხარის მოსაზრებები და აუცილებელი პრინციპები ამ პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ამავდროულად, როგორც ბატონმა აბაშიძემ განაცხადა, მტკიცება, თითქოს ჭოროხის ჰესების საკითხებზე საქართველოს ხელისუფლება არ ფიქრობს, უსაფუძვლოა. ეს პრობლემა, უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის ყურადღების ცენტრშია, ხოლო მის მოსაზრებებს თურქეთში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებულ ანგარიშს უწევენ. ბატონმა ვახტანგ აბაშიძემ უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებს.

საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

თ. იოსელიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ნეიროფიზიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი **თეიმურაზ იოსელიანი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

ნ. ალექსიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნუგზარ ალექსიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.


GEORGIAN Night
MARITIM KÖLN
am 16. Juni 1996 um 20.00 Uhr
Einziges Gastspiel in Deutschland
Erleben Sie Kultur, Kunst, Musik, Tanz und Gaumenfreuden aus einem faszinierenden Land – Georgien.

კონტაქტები

საქართველოს დღეები გერმანიაში

ოფიციალური მეურვეები: საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, გერმანიის ბუნდესტაგის წევრი ჰანს დიტრიხ გენშერი, ზაარლანდის პრემიერ-მინისტრი ოსკარ ლაფონტენი.

საქართველოს საელჩოში გაჩნდა იდეა გერმანიაში მოეწყოთ ქართული დღეები, სადაც ერთმანეთს შეერწყმოდა გერმანულ-ქართული კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი სიმპოზიუმი და გრანდიოზული გალა-კონცერტი ჩვენში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ქართველი ვარსკვლავების მონაწილეობით. ამ პროგრამის იდეაც და განხორციელების გეგმაც შეიმუშავეს გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კონსტანტინე გაბაშვილის მეუღლემ მანანა ხიდაიამ და საელჩოს პირველმა მდივანმა მაია ფანჯიკიძემ. მათი თხოვნით სიმპოზიუმის მომზადება ითავა „გერმანიაში საქართველოს მეგობრების საზოგადოების" ბონის განყოფილების თავმჯდომარემ მიხაელ ვოლტერმა, კონცერტის მოწყობა კი, რაც უამრავ ობიექტურ და სუბიექტურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მხოლოდ მ. ხიდაიასა და მ. ფანჯიკიძის რამდენიმე თვის დაძაბული შრომის ფასად მოხერხდა.

15 ივნისს, ბონის სასტუმრო „იბისის" საკონფერენციო დარბაზში, დილის 9 საათზე საზეიმოდ გაიხსნა სიმპოზიუმი. სიმპოზიუმის მონაწილეებსა და დამსწრე მრავალრიცხოვან საზოგადოებას მიესალმა ბუნდესტაგის წევრი, გერმანია-საქართველოს მეგობრობის საზოგადოებების გაერთიანების საპატიო პრეზიდენტი, ბატონი ჰანს-დიტრიხ გენშერი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ელდარ შენგელაია, ზაარლანდის შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის მინისტრი, გერმანია-საქართველოს მეგობრობის საზოგადოებების გაერთიანების თავმჯდომარე ქალბატონი მარიანე გრანცი და გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი კონსტანტინე გაბაშვილი.

სიმპოზიუმი დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის უფროსის პეტრე მამრაძის მოხსენებით „შევარდნაძის პოლიტიკა და საქართველოს აქტუალური პოლიტიკური ვითარება", მისი გერმანელი პარტნიორის, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ენო ბარკერის მოხსენება კი საქართველოში გერმანიის საგარეო პოლიტიკის ასპექტებს შეეხებოდა.

დილის სხდომაზე გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტი განიხილეს თავიანთ მოხსენებაში თავისუფალმა პუბლიცისტმა აზოტ მანუჩარიანმა, 1992-1995 წლებში საქართველოში გერმანიის ელჩმა გიუნთერ დაქჰოფმა და ცნობილმა ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა. მოხსენებების ირგვლივ გაიმართა დისკუსია, სადაც გამომჟღავნდა გერმანელთა მხრივ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური და კულტურული ვითარების ღრმა ცოდნა, საქართველოს წარმომადგენლების მხრივ კი ამ ვითარების სწორი შეფასებისა და ზოგიერთ მოხსენებაში წამოჭრილ არასწორ შეხედულებებზე სწრაფი და მართებული რეაქციის უნარი (ასეთი იყო, მაგალითად, ბატონ ელდარ შენგელაიას გამოსვლა აფხაზ სეპარატისტთა იდეოლოგიის თაობაზე და ბატონ პეტრე მამრაძის პასუხები დამსწრე საზოგადოების პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებზე).

15 ივნისის ნაშუადღევის სხდომა ძირითადად ეკოლოგიის პრობლემებს მიეძღვნა. გერმანელებს უდიდ ჰირშსა და ეკერჰარდ მაასს ღირსეული პარტნიორობა გაუწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ნ. ნემსაძემ. ამავე სხდომაზე გერმანია-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ახალგაზრდა მეცნიერი დავით ჯალაღანია და ასევე საინტერესოდ და ცოცხლად ჩაება ბატონ ნოიჰედლტის მიერ წარმართულ დისკუსიაში.

სიმპოზიუმის 16 ივნისის სხდომები მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა. დილის სხდომა მთლიანად ენასა და ლიტერატურას დაეთმო. საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის მანანა გიგინეიშვილის მოხსენება თემაზე „ქართული ლიტერატურა მეხუთე საუკუნიდან დღემდე", გერმანული ლიტერატურის მთარგმნელისა და თარგმანის თეორეტიკოსის, პროფესორ დალი ფანჯიკიძის მოხსენება „ფიქრები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე", ქართველოლოგ შტეფი ხოტივარ-იუნგერის მოხსენება „ქართული ლიტერატურის გერმანული თარგმანები: მიმოხილვა და პრობლემები", ბონის უნივერსიტეტის პროფესორის კარლ-ჰორსტ შმიდტის მოხსენება „კავკასიური ენები: მათი რეკონსტრუქციის პრინციპები".

შუადღის სხდომაზე იურისტმა დალი. ჭანტურიამ წაიკითხა საინტერესო მოხსენება საქართველოში სამართლებრივი რეფორმის პრობლემების თაობაზე. საქართველოს პრობლემების ღრმა ცოდნა და ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარული გამოავლინა მისმა გერმანელმა პარტნიორმა პროფესორმა როლფ კნიპერმა, ხოლო მოხსენებების შემდეგ გამართულ დისკუსიაში გამომჟღავნდა დიდი ინტერესი საქართველოში მიმდინარე რეფორმებისადმი და ლ. ჭანტურიამაც ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვაზე.

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ედიტ ნოიბაუერის მოხსენება შეეხებოდა შუა საუკუნეების საქართველოს არქიტექტურას, ხოლო ბერლინის ქართული საზოგადოების წევრმა ბრიგიტა შრადემ დამსწრეთ გააცნო გერმანელი მოგზაურების ჩანაწერები საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის საკითხებზე.

სიმპოზიუმის სხდომებს ესწრებოდნენ ბ-ნი ელდარ შენგელაია, საქართველოს ელჩი კოტე გაბაშვილი, საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, ჩვენი ერთგული მეგობარი ჰერმან ვედეკინდი, საქართველოში გერმანიის საე-

(დასასრული მე-2 გვ.)

ნომრის მთავარი თემა

დაკარგული თაობა

5

ყურადღების ცენტრშია მოსახლეობის სოციალური დაცვის პრობლემები

(დასასრული)

ბათა წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამების შექმნის შესახებ. მთავრობამ დაამტკიცა ეს პროგრამები და შესაბამისი კომისიები, რომლებმაც მკვეთრად უნდა გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით, მტკიცე, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ ნარკომანიასა და ნარკობიზნესს, ხოლო ზრუნვა ბავშვებისა და მოზარდებისათვის ნომერ პირველ ამოცანად აქციონ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ აქ განსაკუთრებული როლი ეკისრება ხელისუფლების ორგანოებს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებმაც ყველაფერი უნდა იღონონ ჰარმონიულად განვითარებული და ფიზიკურად ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის ფორმირებისათვის.

მთავრობამ ასევე მოიწონა პროექტი ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებისა რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს საგანგებო სიტუაციათა და სამოქალაქო თავდაცვის საუწყებათაშორისო მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ, მისი დებულება. კომისიას სათავეში ჩაუდგა საბჭოს წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე.

ინფორმაცია პურის ფასების ლიბერალიზაციის მიმდინარეობის შესახებ მთავრობას წარმოუდგინა შესაბამისი კომისიის თავმჯდომარემ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ. მან განაცხადა, რომ მთლიანად ვითარება აქ ნორმალურია. ქვეყანაში არის მარცვლეულისა და ფქვილის საკმარისი რესურსები. ამავე დროს, მსოფლიო ბაზარზე მათ ფასებს კლების ტენდენცია აქვს, რაც გვმატებს რწმენას, რომ ეს ფასები საშინაო ბაზარზეც არ გაიზრდება. ამავე დროს, მინისტრმა ერთგვარი წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ბოლო ხანს შემცირდა ფქვილის იმპორტი, მაშინ, როცა მარცვლეულის იმპორტი წინანდელ დონეზე რჩება, კვლავ თავს იჩენს გადაუხდელობის პრობლემა. რაც შეეხება წლევანდელ მოსავალს თავად რესპუბლიკაში, უამინდობის გამო ეს არც ისე დამაიმედებელია.

პურის ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით თავიანთ რეგიონებში საქმის ვითარებაზე ილაპარაკეს სამხარეო ადმინისტრაციათა მეთაურებმა, ქალაქ თბილისის მერმა. ისევე, როგორც სხდომაზე გამოსულმა სამომხმარებლო საზოგადოებათა ალიანს-ცეკავშირის თავმჯდომარემ გიორგი ქათამაძემ, მათაც აღნიშნეს, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, რაც პრინციპულად გამორიცხავს რაიმე გაუთვალისწინებელ მოვლენებს. ამასთან დაკავშირებით, ქვეყნის პრეზიდენტმა მოითხოვა კვლავაც არ შეანელონ აქ კონტროლი, დღენიადაგ იზრუნონ რეგიონებში მარცვლეულისა და ფქვილის საიმედო მარაგის შესაქმნელად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესპუბლიკაში საკუთარი წარმოების მარცვლეულის მოცულობის ზრდის საჭიროებას.

ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

საქართველოს დღეები გერმანიაში

(დასასრული

ლროს ყოფილი თანამშრომელი ფრიდ ნილსენი, ჩვენი თანამემამულეები, მათ შორის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ბატონი ქრისტეფორე კირკიტაძე, ჟურნალისტები, საქართველოს პოლიტიკური ვითარებით, კულტურითა და მეცნიერებით დაინტერესებული პირები.

სტენდებზე გამოფენილი იყო ამ დღეებისადმი მიძღვნილი ბუკლეტები, ბიულეტენები, გაზეთების სპეციალური ნომრები: „გეორგიენ კენენლერნენ“ („გავიცნოთ საქართველო“), „გეორგიენ“ („საქართველო“), „საქართველოს მოამბე“ და რაც მთავარია, გალა-კონცერტის მრავალგვერდიანი ბუკლეტი და პლაკატი „ქართული სალამო კიოლნის სასტუმრო „მარიტიმში“.

და აი, 16 ივნისს, კიოლნის ფეშენებელურ სასტუმროში დაიწყო „ქართული სალამო“. მაყურებელს ფოიეში დახვდა უნიკალური გამოფენა „ქართველი ქალების 100 ფოტოსურათი“ (ავტორები დავით ჩუბინაშვილი და ლევან მეხუზლა), რამაც სასიამოვნო განწყობა შექმნა გალა-კონცერტის წინ.

კონცერტს ესწრებოდნენ ბატონი ჰანს-დიტრიხ გენშერი მეუღლითურთ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია, საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე, საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, საქართველოს დესპანი გიორგი მჭავანაძე, ყოფილი ელჩი გიუნთერ დელჰოფი, გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული რჩეული საზოგადოება, ჟურნალისტები, რადიო-სადგურ „თავისუფლების“ კორესპონდენტები, გერმანიაში მცხოვრები თუ სასწავლებლად ჩასული ქართველები. სტუმრებს გერმანულ ენაზე მიესალმა კონსტანტინე გაბაშვილი.

გალა-კონცერტის პირველი განყოფილება კლასიკას დაეთმო. გამაოგნებელი იყო ნინო ანანიაშვილის გამოსვლა, დარბაზში დიდხანს არ დამცხრალა ტაში სენ-სანსის „მომაკვდავი გედის“ გამო, საოცარმა სინატიფემ, მეტყველმა ხელებმა, სინარნარემ მოხიბლა გერმანელი მაყურებელი. ნინო ანანიაშვილმა დიდი თეატრის სოლისტთან ალექსეი ფადეიჩევთან ერთად კიდევ ორი ნომერი შეასრულა: პა დე დე „რომეო და ჯულიეტადან“ და „გედების ტბიდან“, რომელმაც დააგვირგვინა პირველი განყოფილება.

ზურაბ სოტკილავასა და მაყვალა ქასრაშვილის უზადო ხელოვნება სათანადოდ შეაფასა მაყურებელმა, მათ სოლო გამოსვლებს თან ახლდა მქუხარე ტაში. დიდი წარმატება ხვდა წილად ქართული ვოკალური სკოლის ახალგაზრდა წარმომადგენელს ლადო ათანელს (ათანელაშვილს). იგი ამჟამად მოღვაწეობს გერმანიაში და ამ გალა-კონცერტში მონაწილეობა მისთვის, ალბათ, კიდევ ერთი კარგი რეკლამა იქნება.

ალექსანდრე თორაძის სახელი ცნობილია დასავლელი მელომანებისათვის და მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა მისი ბრწყინვალე გამოსვლა, მაგრამ როგორც იტყვიან, სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. გერმანიაში ასევე კარგადაა ცნობილი ჩვენი სახელოვანი მევიოლინე, ინგოლშტადტის დავით ოისტრახის სახელობის კონსერვატორიის დირექტორი ლიანა ისაკაძე, რომელმაც ჩვეული ვირტუოზობით მოხიბლა მსმენელი. იმ საღამოს განსაკუთრებით დიდებულად ჟღერდა საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, რომელიც ამჟამად გერმანიაში მოღვაწეობს. ერთი სიტყვით, კონცერტის ყველა მონაწილე გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას, გრძნობდა, რომ ასე ერთად, კაშკაშა თანავარსკვლავედად შეკრულნი საქართველოს სახელით გამოდიოდნენ და მათ ხელოვნებაზე დიდად იყო დამოკიდებული ქართული კულტურის აღიარება. ისინი ცალ-ცალკე ყველანი აღიარებულნი არიან ვარსკვლავებად, მაგრამ ბევრმა იმ საღამოს შეიტყო მათი ქართველობა.

მეორე განყოფილება ეფექტურად გახსნეს „სუხიშვილებმა“. ერთმანეთს მიჰყვა ფარცა, ქართული და ხორუმი, მათ შეენაცვლა „რუსთავის“ დიდებული მრავალჟამიერი და ხასანბეგურა, აჭარული სუიტის შემდეგ „რუსთაველთან“ ერთად სცენაზე კვლავ გამოვიდა ზურაბ სოტკილავა და დარბაზმა ხანგრძლივი ტაშით გამოხატა თავისი აღფრთოვანება. კონცერტის დამაგვირგვინებელი იყო სიმღერა „შეჯიბრი“. ბოლო აღარ უჩანდა ოვაციას, სტვენას, შეძახილებს. ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი.

მაყურებლის რეაქცია, მათი გულწრფელი გაოცება და სიხარული იმის დასტურია, რომ ამ კონცერტით და ქართული კულტურის დღეების სხვა ატრიბუტებით გერმანელებმა ერთბაშად მიიღეს ის დადებითი და მრავალმნიშვნელოვანი ინფორმაცია, დღეს რომ ყველაზე უფრო სჭირდება საქართველოს.

ამ დიდი ეროვნული საქმის დაგვირგვინებაში მის თაოსნებსა და ორგანიზატორებს მანანა ხელაიასა და მაია ფანჯიკიძეს მხარში ამოუდგა მრავალი ადამიანი და ორგანიზაცია, გერმანელები და ქართველები: პალ ბერკოვიჩი, ჰელმუტ ბიონდელი, იოხენ გევაიერი, მიხაელ ვოლტერი, სასტუმრო „მარიტიმის“ დირექტორი ბ-ნი ბიშოფი, ანდრეა ვინკჰარდი, ავიაკომპანიები „ეარ ჯორჯია“, „გერმანია“ და „ლუფტჰანზა“, კოკა ყანდიაშვილი, მარტინ ბაუერი, სოსო ლიაბელი, „დოიჩე ბანკი“, ქრისტეფორე და სევერიან კირკიტაძეები, ფილიპსისა და სიმენსის ფირმები და სხვები.

კონცერტზე მოსული ათასზე მეტი მაყურებელი დიდხანს ვერ დაივიწყებს იმ მაღალ ხელოვნებას, რაც მათ ქართველმა ვარსკვლავებმა შესთავაზეს და ამით დაუმტკიცეს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ქვეყანა, რომლის სახელი გერმანიაში უბრალო მოქალაქემაც კი იცის, დიდი კულტურის ქვეყანაა.

მაია ფურცელაძე.

ამერიკელი მეზღვაურები ბათუმში

კარგა ხანია ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს ბათუმის ნავსადგურს. 25 ივნისს, ადრე დილიდან, მართლაც ზღვა ხალხით აივსო იქაურობა. ნავმისადგომთან ჩამწკრივდნენ საქართველოს საზღვაო აკადემიის კურსანტთა კოლონები, უკრავდა მეზღვაურთა სასულე ორკესტრი.

ამერიკის საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი სადესანტო ხომალდის „ორტუგას“ შესახვედრად აქ მოვიდნენ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი ალექსანდრე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის უფროსი ბიჭიკო ვარშანიძე. ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ხარაზი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები.

დამხვედრთა შორის იყო ამერიკის ელჩი საქართველოში ბატონი უილიამ კორტნი. საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ ამერიკელებმა მასპინძლები და მათთან ერთად ჟურნალისტებიც ხომალდის დასათვალიერებლად მიგვიწვიეს, გაგვაცნეს მისი უნიკალური ალჭურვილობა, საბრძოლო ტექნიკა, სანავიგაციო სისტემა, ხომალდის საბრძოლო შესაძლებლობანი. შემდეგ აქ მოწყობილ პრესკონფერენციაზე პასუხი გასცეს ჟურნალისტთა შეკითხვებზე.

— ჩვენ ბევრ ნავსადგურში შევსულვართ, მაგრამ ამდენი ხალხი იშვიათად დაგვხვედრია, — თქვეს ამერიკელებმა, — აღფრთოვანებული ვართ თქვენი ქალაქით, ხალხით, სტუმართმოყვარეობით, მიზანი კი ერთი გვაქვს — კიდევ უფრო გავაღრმავოთ ქართველი და ამერიკელი ხალხების მეგობრობა.

ამერიკელთა ბათუმური შეხვედრები დაიწყო. ისინი მიიღეს აჭარის უზენაეს საბჭოში, ბათუმის მერიაში, გადასცეს სამახსოვრო სუვენირები... იმავე საღამოს ბათუმის სასტუმრო „ინტურისტის“ დარბაზში აჭარის უზენაესი საბჭოს სახელით მოეწყო მიღება ამერიკელი მეზღვაურების პატივსაცემად.

მეტად საინტერესოა ამერიკელების ბათუმში ყოფნის ორდღიანი პროგრამა. ისინი ეწვივნენ ბათუმის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდნენ საზღვაო დარგის სპეციალისტებს, მოქალაქეებს, ბათუმის ზღვისპირა პარკში გამართეს საზეიმო კონცერტი, სპორტული შეხვედრები.

28 ივნისს, დილის 9 საათზე „ტორტუგა“, მისი ეკიპაჟი დატოვებს ბათუმის ნავსადგურს და თან წაიყოლებს გულღია სტუმართმოყვარე ბათუმელების მეგობრულ სითბოს.

გია ჭელიძე,
„სრ“ აჭარის ბიურო.

ხიდები

ირანი—საქართველო:

კეთილი მეზობლები, საიმედო პარტნიორები

ცნობილია, რომ ირანმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. ორი სახელმწიფოს პრეზიდენტების ედუარდ შევარდნაძისა და აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანის ვიზიტების შემდეგ განმტკიცდა კონტაქტები, რომლებიც ფაქტობრივად მოიცავს თანამშრომლობას პოლიტიკის, ეკონომიკის, ფარმაცევტიკის, კულტურისა და სპორტის სფეროებში.

ირანელები უდიდესი პატივისცემით არიან გამსჭვალული ქართველი ერისა და საქართველოს პრეზიდენტისადმი, ამის დასტურია მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ ირანულ პრესაში. ამას წინათ ირანულმა გაზეთმა „მოქადამ“ გამოაქვეყნა სტატია „თბილისი—კავკასიის დედოფალი“.

საქართველო-ირანის ურთიერთობაზე გვესაუბრება ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში აბბარ ამინიანი.

— საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ამიერკავკასიის რეგიონში მისი პოზიცია ირანის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, თუმცა ირანი თქვენს ქვეყანას არ აღიქვამს როგორც შემოსავლის წყაროს. პირიქით, იგი მეგობრულად ეხმარება მას და ღირსეულ პარტნიორადაც მიიჩნევს. მსურს აღვნიშნო, რომ ირანის პირველმა ელჩმა ფერეიდუნ ჰაყბინმა განამტკიცა და ახალი შინაარსი შესძინა ამ ურთიერთობას და მე მოვალე ვარ არ დავიშურო ძალისხმევა, რათა მეტად განვავითარო და გავაღრმავო ეს შესანიშნავი ტრადიციები.

ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით განმტკიცდა და გაფართოვდა კონტაქტები ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის. კერძოდ, შარშან საქართველოს ეწვივნენ ირანის პარლამენტარები, შეხვდნენ ქვეყნის პრეზიდენტს, ქართველ კოლეგებს, იმსჯელეს თანამშრომლობის პერსპექტივებზე. მნიშვნელოვანია კონტაქტები ეკონომიკის სფეროში, მიმდინარეობს კაშხლების სამშენებლო სამუშაოები, მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს ენერგეტიკის სფეროში. გასულ წელს საქართველოსა და ირანის შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჟინვალჰესზე სარემონტო სამუშაოების ერთობლივი წარმოების შესახებ.

ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მცირე სიმძლავრის კომპრესორების დამზადების თაობაზე, აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის და ირანის ფირმა „საიფას“ შორის ავტომანქანების ერთობლივი წარმოების შესახებ.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების მიზნით ორ სახელმწიფოს შორის საქმიანი კონტაქტები დამყარდა. საინტერესოა კავშირები ჩაის წარმოების სფეროში, ქართველ სპეციალისტების გამოცდილება ამ დარგში დიდად წაადგება ირანელ კოლეგებს, ქუთაისში ერთი თვის წინათ გაიხსნა ირანის გილანის პროვინციის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების გამოფენა, მუდმივმოქმედი უნივერსალური მაღაზია. აღსანიშნავია კონტაქტები ტრანსპორტის დარგში. თბილისსა და თეირანს შორის მოქმედებს საავტომობილო გზა და საჰაერო ხაზი. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკების არა მხოლოდ საქმიანი წრის წარმომადგენელთა, არამედ მოსახლეობის ნებისმიერი ფენის დაახლოებასა და დამეგობრებას. ამჟამად მიმდინარეობს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა. ირანი ფოთზე გავლით შავ ზღვას დაუკავშირდება, ზღვისპირა ქვეყნები — ირანს, საქართველო კი — შუა აზიის ქვეყნებსა და სპარსეთის ყურეს. ამ გზის ამოქმედებას, ეკონომიკური თვალსაზრისის გარდა, პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება, რადგან იგი თავის სიტყვას იტყვის სტაბილიზაციის საქმეში როგორც საქართველოში, ასევე კავკასიის მთელ რეგიონში.

ნაყოფიერია თანამშრომლობა განათლებასა და კულტურაში. ირანის პრეზიდენტის რაფსანჯანის საქართველოში ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ კულტურის სფეროში და დღეს მისი პუნქტები ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილია გაიმართოს საქართველოსა და ირანის კულტურის დღეები, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება ქართველ და ირანელ მხატვართა ნამუშევრები, შესრულდება მუსიკალური ნაწარმოებები, დემონსტრირებული იქნება ფილმები, ფართოდ იქნება ნაჩვენები წიგნები, ხალხური შემოქმედება. საგულისხმოა ჩვენი ქვეყნების ხელოვნების მუზეუმების საქმიანი თანამშრომლობაც. გამოიცემა ერთობლივი კატალოგები, რომლებიც ჩვენი ხელოვნების ნიმუშების მსოფლიოში პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს სპარსული ენის სწავლება და ამ პროცესის დაჩქარებისა და სრულყოფის მიზნით 30 ქართველი სტუდენტი, 10 პროფესორ-მასწავლებელი თბილისის უმაღლესი სასწავლებლიდან თვე-ნახევრით, 20 ქუთაისელი სტუდენტი კი ორი კვირით ეწვევა ირანს.

ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იქნება ირანის ხელმძღვანელობის მიერ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიწვევა ჩემს ქვეყანაში.

საქართველოს ეწვია ირანის ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარე დოქტორი ალი ლარიჯანი. ვიზიტის დროს განიხილეს ორივე ქვეყანაში წარმომადგენლობების ოფისების გახსნის საკითხი, იმსჯელეს ჟურნალისტთა გაცვლის თაობაზე, რომლებიც მოამზადებენ რეპორტაჟებს ირანისა და საქართველოს ცხოვრების, მათი ხალხების წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ.

ირანი საქართველოსათვის და საქართველო ირანისათვის კეთილი მეზობლები და სანდო პარტნიორები არიან, ასეა დღეს, ასე იქნება მომავალშიც.

ნანა გელაშვილი,
საქინფორმის კორ.

აქტუალური ინტერვიუ

საქმიან სამყაროში არავინ უყურებს სერიოზულად იმ მეწარმეს, რომლის საანგარიშო მონაცემები აუდიტორული დასკვნით არ დასტურდება. საზღვარგარეთის ქვეყნებში აუდიტორული სამსახური საკმაოდ კარგად არის განვითარებული. ჩვენში მხოლოდ ახლა მკვიდრდება.

რა არის აუდიტი — აუდიტორი? — ეკონომიკური ტერმინია და ნიშნავს მომსახურებას. დღევანდელი გაგებით იგი უახლოვდება რევიზორს, ადვოკატს. თვითონ სიტყვა აუდიტორი მსმენელს ნიშნავს, ე. ი. თუ აუდიტორს როგორც მსმენელს ისე განვიხილავთ და გავაანალიზებთ მის ფუნქციებს, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი ვალდებულია მოუსმინოს კლიენტს (მეწარმეს), გამოიჩინოს მისი საქმით დაინტერესება, გულისხმიერება, ხელი შეუწყოს საქმიანობის სწორად წარმართვაში, ამავე დროს დროულად გამოავლინოს დარღვევა-დამახინჯებანი და დასახოს გზები მის აღმოსაფხვრელად, ანუ აუდიტორი გამოდის თავისი კლიენტის — მეწარმის დამხმარედ და, ამდენად, ვალდებულია დაიცვას მისი ინტერესები.

ახლა მთავარია, გაგებით შეხვდნენ მეწარმეები აუდიტორული საქმიანობის აუცილებლობას, მათ უნდა იცოდნენ, რომ აუდიტორები, უპირველესად, მათ მისცემენ ყველა ეკონომიკურ-საკანონმდებლო ინფორმაციას, მოუწესრიგებენ საფინანსო-ეკონომიკურ აღრიცხვას, გაარკვევენ დაბეგვრას, გადასახადს, გადასახდელებსა და სხვა საკითხებში. დაეხმარებიან კომერციული საქმიანობისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმებაში და, რაც მთავარია, მისცემენ დასკვნას, რომელსაც საფინანსო წლის ბალანსთან ერთად გამოაქვეყნებენ ოფიციალურ პრესაში. ასე რომ, აუდიტორი გამოდის თავისი კლიენტის დამხმარედ და ინტერესების დამცველად.

საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 7 თებერვალს მიიღო კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, განსაზღვრა ქვეყანაში მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და ის წესები, რომლითაც წესრიგდება ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობა. ამავე კანონით შეიქმნა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო. იგი აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებისა და მმართველობითი ორგანოა. მას მართავს აუდიტორული საბჭოს კოლეგია, რომლის თავმჯდომარე იმავდროულად არის ამ საბჭოს თავმჯდომარე. აუდიტორული საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე.

1996 წლის მაისში პარლამენტმა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცა ნოდარ ქეზაძე.

„სრ“ დოსიე

1952 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სახალხო მეურნეობის იერარქიაში თითქმის ყველა საფეხური გაიარა: მუშაობდა ბუღალტრად, მთ. ბუღალტრად, მთ. რევიზორად, მთავარი სამმართველოს უფროსად, რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლდამზადების“ თავმჯდომარედ, ცეკავშირის თავმჯდომარის მოადგილედ...

მინიჭებული აქვს დამსახურებული ეკონომისტის წოდება. ავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა და ნაშრომისა რევიზიისა და კონტროლის დარგში.

მისი ჰობია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა შეგროვება; შეკრებილი აქვს პოემის 250 სხვადასხვა გამოცემა, მათ შორის მსოფლიოს ხალხთა ენებზე.

აუდიტორული სამსახური

აუდიტორული საქმიანობის საბჭოს დაევალა აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა, აუდიტორთა კადრების მომზადება-გადამზადება, აუდიტის ჩატარებისათვის სტანდარტებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება, აუდიტორთა ატესტირება და მათზე სერტიფიკატებისა და ლიცენზიების გაცემა, აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება, აუდიტორულ საქმიანობაზე სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტების ლეგალიზება და ქვეყნის ტერიტორიაზე ამ საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა. ამასთან, საბჭო საჭიროების შემთხვევაში აჩერებს მის მიერ გაცემული ლიცენზიების მოქმედებას ან შესაბამის სუბიექტებს ჩამოართმევს სერტიფიკატებსა და ლიცენზიებს, მეთვალყურეობს აუდიტორულ საქმიანობის კანონმდებლობის დაცვას; ანუ **აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მთავარი მიზანია ამ სახით რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შემადგენლობაში შექმნას დამოუკიდებელი, არასაუწყებო საფინანსო კონტროლის ინსტიტუტი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განამტკიცებს სააღრიცხვო-საანგარიშებო, საფინანსო-საბანკო და საანგარიშსწორებო დისციპლინას, ხელს შეუწყობს მეწარმეთა და სხვა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მიღებული კანონების სრულად ამოქმედებას, უზრუნველყოფს მესაკუთრეთა, მეწარმეთა სახელმწიფოსა და მოქალაქეთა კანონიერი ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.**

ვინ ახორციელებს სამეურნეო სუბიექტებთან აუდიტორულ მომსახურებას?

როგორც ბატონი ნოდარი ამბობს, აუდიტორები, ფიზიკური პირები არიან, რომლებმაც აუდიტორულ საბჭოში გაიარეს ატესტაცია, მიიღეს სერტიფიკატი და საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია. აუდიტორი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად ან აუდიტორული ფირმის საშუალებით, იმ ფირმისა, რომელიც წარმოადგენს საწარმოს, აქვს აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია და რომლის ერთადერთი საწესდებო მიზანი აუდიტორული საქმიანობაა.

— ვინ დაიშვება ატესტაციაზე და ვინ შეიძლება გახდეს აუდიტორი?

— ატესტაციაზე დაიშვებიან უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, რომელთაც აქვთ აუდიტორად, ბუღალტრად, ეკონომისტად, რევიზორად, იურისტად, ეკონომიკური პროფილის მეცნიერ მუშაკად ან პედაგოგად, აუდიტორული ფირმის სპეციალისტად, საწარმოს ხელმძღვანელად მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის სტაჟი, მათ საატესტაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ხუთი წლით ეძლევათ საკვალიფიკაციო სერტიფიკატი: ამის გარდა, კანონით დადგენილია, რომ აუდიტორებს და აუდიტორულ ფირმებს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის უფლება აქვთ მხოლოდ აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემული ლიცენზიების შემდეგ, რომელთა ვადა ხუთი წელია; აქედან გამომდინარე, სამეურნეო სუბიექტებს ეკრძალებათ იმ აუდიტორებთან ან აუდიტორულ ფირმებთან აუდიტორულ საქმიანობაზე ხელშეკრულების გაფორმება, რომლებსაც არ ექნებათ აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემული ლიცენზია.

— რომელ სამეურნეო სუბიექტებშია დაწესებული სავალდებულო აუდიტი, რის საფუძველზე ხორციელდება და რა წესით ხდება მასზე გაწეული შრომის ანაზღაურება?

— იმ სამეურნეო სუბიექტებში, რომელთა ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს მესაკუთრეთა შეზღუდულ ქონებრივ პასუხისმგებლობას ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, არასაბიუჯეტო ფონდებში, საფონდო და სასაქონლო ბირჟებში და სხვა სუბიექტებში, რომელთა სიას ყოველწლიურად ამტკიცებს ფინანსთა სამინისტრო. ამ წესის დაცვის მიზნით კანონში აღნიშნულია, რომ სამეურნეო სუბიექტი, რომლის საქმიანობა ექვემდებარება სავალდებულო აუდიტორულ შემოწმებას, ვალდებულია საანგარიშო წლის 31 დეკემბრამდე შეატყობინოს საგადასახადო ინსპექციას აუდიტორულ მომსახურებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ, ხოლო მომდევნო წლის 30 ივნისამდე კი წარუდგინონ დასკვნა აუდიტის შედეგებზე.

რაც შეეხება აუდიტორის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებას, ასეთი დადგენილი ტარიფები არ არსებობს, ფასიც, მომსახურების სფეროც და ფორმაც განისაზღვრება უშუალოდ მეწარმესა და აუდიტორს შორის დადებული ხელშეკრულებით.

— ვის ეკრძალება აუდიტის ჩატარება, და თუ არის რაიმე ღონისძიება გათვალისწინებული არაკვალიფიციური აუდიტორული დასკვნების წარდგენისათვის?

— აუდიტის ჩატარება ეკრძალებათ აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტის, რომელიმე ხელმძღვანელის ახლო ნათესავები არიან, აკავშირებთ პირადი ქონებრივი ინტერესები, აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტების მუშაკები, მესაკუთრეები, დამფუძნებელნი ან ხელმძღვანელობის წევრები არიან და იმ პირებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტების მემკვიდრე საზოგადოების, ფილიალის ან წარმომადგენლობის მუშაკები ან მესაკუთრენი არიან. ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, აუდიტორული საბჭოს გადაწყვეტილებით აუდიტორებს ჩამოერთმევათ აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია. ლიცენზია ჩამოერთმევათ იმ აუდიტორებსაც, რომლებიც აუდიტის ჩატარებისას განზრახ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, აუდიტს ჩაატარებენ დაბალ დონეზე ან ლიცენზიის გაცემის შემდეგ გამოვლინდება მის მისაღებად უსწორო მონაცემების წარდგენის ფაქტი ან კიდევ იგი ეწევა ლიცენზიით გაუთვალისწინებელ აუდიტორულ საქმიანობას. ყოველივე ამ ბრალეულობისათვის აუდიტორს (ფირმას) ეკისრება ქონებრივი და სხვა სახის პასუხისმგებლობა, რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა და დამკვეთთან დადებული ხელშეკრულება.

— ბატონო ნოდარ, დღევანდელ პირობებში, ვიდრე არ იყო შექმნილი აუდიტორული საბჭო, რის საფუძველზე ტარდებოდა აუდიტორული მომსახურება?

— საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა აუდიტორული საბჭოს შექმნის ორგანიზაციული პერიოდი და, რომ არ შეწყვეტილიყო აუდიტორული მომსახურება, ნება დართო რეგისტრირებულ ინდივიდუალურ აუდიტორებს და ფირმებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განეგრძოთ საქმიანობა ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული დროებითი მოწმობის საფუძველზე.

უახლოეს დღეებში აუდიტორული საბჭო დაიწყებს აუდიტორთა ატესტაციას და მის საფუძველზე ხუთწლიან (და არა დროებითს) სერტიფიკატისა და ლიცენზიის გაცემას, მათი სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციას. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღეს მომუშავე აუდიტორები და ის პირები, ვინც მომავალში აპირებენ ამ დარგში დასაქმებას, მაინც საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, რადგან უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დანერგვასთან დაკავშირებით ამდენი ახალი კანონი მიიღება, რომ მის საფუძვლიან ცოდნას ესაჭიროება სპეციალისტთან მოკლევადიანი კურსების, სემინარების გავლა, აუდიტორი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს.

* * *

ჩვენში აუდიტორულ მომსახურებას ჯერ კიდევ ცალი თვალით უყურებენ და საზოგადოებისათვის იგი საბჭოურ საფინანსო-სარევიზიო კონტროლთან არის გაიგივებული. მაგრამ საბაზრო ეკონომიკა ცხოვრებაში ჯიუტად ამკვიდრებს თავის, ზოგჯერ მკაცრ, მაგრამ აუცილებელ კანონებს და აუდიტორული მომსახურებაც თუ დღევანდელი არა, ჩვენი ხვალინდელი დღის აუცილებელი ნაწილი იქნება, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზნესის პირობებში, საქმიან სამყაროში არავინ არ უყურებს სერიოზულად იმ მეწარმეს, რომელთა საანგარიშო მონაცემები აუდიტორული დასკვნით არ დასტურდება.

ესაუბრა
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დიდი შვიდეული — ლიონში

ლიონი. საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრმა ლიონში გადაინაცვლა. „საფრანგეთის მეორე დედაქალაქმა“ გუშინ საღამოს უმასპინძლა დასავლეთის განვითარებული ინდუსტრიის შვიდი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს. დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და საფრანგეთის დროშებთან ერთად ქალაქს ამშვენებს რუსეთის დროშებიც. რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი დღეს, დღის მეორე ნახევარში შეუერთდება „შვიდეულს“. სამიტის სხდომები დღეს დილით დაიწყება, გუშინ საღამოს კი გაიმართა შეხვედრის მონაწილეთა სამუშაო ვახშამი ლიონის რატუშის შენობაში.

ოფიციალური მხარდაჭერა

ვაშინგტონი. რუსეთის ეკონომიკის ინვესტირებაზე ორიენტირებულმა მორიგმა, სათვალავით მეექვსე ერთობლივმა ფონდმა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ოფიციალური მხარდაჭერა მიიღო. ოთხშაბათს ამერიკის საზღვარგარეთ კერძო კაპიტალდაბანდებათა სამთავრობო კორპორაციის პრეზიდენტმა რუტ ჰარკინმა აქ ხელი მოაწერა შეთანხმებას ახლად შექმნილი „სიინის პროპერტი ფანდისათვის“ 160 მილიონამდე დოლარის დაფინანსების გარანტიების მიცემის შესახებ. ამ ერთობლივი ფონდის კაპიტალი, რომელიც შექმნილია „ბენკ ოფ ბოსტონის“ და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ემ-სი-აი ტელესაკომუნიკაციო კორპორაციის მონაწილეობით, 240 მილიონ დოლარს შეადგენს.

კარიმოვი — პენტაგონში

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი უილიამ პერი შეხვდა აქ ვიზიტად მყოფ უზბეკეთის პრეზიდენტს ისლამ კარიმოვს. როგორც პენტაგონის პრესგანყოფილებაში უთხრეს იტარ-ტასის კორესპონდენტს, შეხვედრაზე „განიხილეს ცენტრალურ აზიაში უშიშროების პრობლემები და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და უზბეკეთს შორის დამყარებული მტკიცე თანამშრომლობის საკითხები“. პრეზიდენტი კარიმოვი პირველად ეწვია პენტაგონს, და როგორც სამხედრო უწყების პრესგანყოფილების მემორანდუმშია აღნიშნული, ეს ვიზიტი „მოწმობს ამერიკა-უზბეკეთის ორმხრივი ურთიერთობისა და უშიშროების დარგში მრავალმხრივი პარტნიორობის მზარდ მნიშვნელობას“.

ნორვეგია და ჩინეთი დაძმობილდნენ

ოსლო. გუშინ ნორვეგიაში სახელმწიფო ვიზიტად ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ძიან ძემინი. ეს ქვეყანაში ჩინეთის უმაღლესი ხელმძღვანელის პირველი ვიზიტია. ძიან ძემინი და მისი თანმხლები მთავრობის დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებენ პრემიერ-მინისტრთან გრუ ხარლემ ბრუნდტლანდთან. შეხვდებიან ნორვეგიის სხვა ხელმძღვანელებს. ვიზიტის დროს, რომელიც 29 ივნისამდე გასტანს, ხელს მოაწერენ ნორვეგიისა და ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან შეთანხმებებს.

კონსტიტუცია კრიზისს გამოიწვევს?

კიევი. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ოთხშაბათს ხელი მოაწერა ბრძანებულებას უკრაინის კონსტიტუციის მიღების თაობაზე სრულიად უკრაინის რეფერენდუმის მოწყობის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 25 სექტემბრისათვის არის დასახული. ეს განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურმა დიმიტრი ტაბაჩნიკმა, თანაც დასძინა, რომ გათვალისწინებულია უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოსა და უკრაინის პრეზიდენტთან არსებული რეგიონების საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ოთხშაბათს თქვა მან, ლეონიდ კუჩმას მონაწილეობით გაიმართა უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოსა და რეგიონების საბჭოს სხდომები. ამ სხდომებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უკრაინის ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომი გაჭიანურება საფრთხეს უქმნის უკრაინის შინაგან სტაბილურობას, საზოგადოებაში ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას და შეიძლება გამოიწვიოს კრიზისი, ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითება.

დაიღუპა 19 ამერიკელი

ვაშინგტონი. საუდის არაბეთში მომხდარი ამბავი „არავითარ შემთხვევაში არ აალებინებს შეერთებულ შტატებს ხელს მშვიდობის მიღწევის მცდელობაზე“ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, განაცხადა დაჰრანში (საუდის არაბეთი) ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა. მან დაათვალიერა სამხედრო-საჰაერო ბაზაზე მომხდარი აფეთქების ადგილი, სადაც სამშაბათს 19 ამერიკელი დაიღუპა, ნახა მიწაში აფეთქების შედეგად დარჩენილი 10 მეტრი სიღრმის გიგანტური თხრილი, შეხვდა დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს და აწარმოა მოლაპარაკება საუდის ოფიციალურ პირებთან.

მკვლელებს მოქალაქეობას ართმევენ

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა საოლქო სასამართლომ ოთხშაბათს ამერიკის მოქალაქეობა ჩამოართვა კაზის ლიმზაუსკასს, რომელსაც სამხედრო დანაშაული ედება ბრალად ლიტვის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომის წლებში. ომის შემდეგ იგი უკანონოდ ჩამოვიდა შეერთებულ შტატებში და დაუმალა ხელისუფლებას, რომ კავშირი ჰქონდა ნაცისტებთან. სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ერთ კვირაში მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორია იძულებით დაატოვებინეს ალექსანდრას ლილეიკისს, რომელსაც აგრეთვე ჩამოართვეს მოქალაქეობა იმის გამო, რომ დადასტურდა მისი, როგორც ლიტვის საიდუმლო პოლიციის მეთაურის პირადი მონაწილეობა ლიტვაში ებრაელთა მასობრივ მკვლელობაში. ლიმზაუსკასი მუშაობდა ამ უწყების სხვადასხვა ქვეგანაყოფში, რომელსაც უშუალოდ უწევდა კონტროლს გესტაპო და რომელიც პასუხს აგებდა ლიტველ ებრაელთა ლიკვიდაციისათვის. ომის ბოლო წლებში იგი ლილეიკისის მოადგილე იყო.

ეროვნული

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 24 ივნისი ქ.თბილისი

საქართველოში საბაჟო საქმის გაუმჯობესების, საბაჟო სისტემის რეორგანიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა და საერთაშორისო ტვირთზიდვის სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცების შესახებ

„საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 9 თებერვლის დადგენილების მოთხოვნათა შესრულების, საბაჟო სისტემის რეორგანიზაციის კომპლექსური პროგრამის ეტაპობრივად განხორციელების, საქართველოს ტერიტორიაზე საიმპორტო, საექსპორტო და სატრანზიტო ტვირთბრუნვის კონტროლისა და დაცვის, საერთაშორისო ტვირთზიდვის მოწესრიგების, ტვირთის დანიშნულებისამებრ დროულად მიტანის, მისი აღრიცხვისა და დაბეგვრის სრულყოფის და ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების სრულად ამოღების მიზნით:

1. საქართველოს ტერიტორიაზე საიმპორტო, საექსპორტო და სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვა საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე და რეგიონალურ საბაჟო შემკრებ ტერმინალებამდე (საბაჟო საწყობი) განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტის სამსახურების კონტროლით.

1.1. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა (თ.აბულაძე) კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსთან (ფ.ინჯია) ერთად უზრუნველყოს საბაჟო სფეროში მართვისა და კონტროლის სისტემის კომპიუტერიზაცია და ელექტრონული კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემების უმოკლეს ვადაში დანერგვა;

1.2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს საბაჟო სისტემაში მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (იუ-ენ-სი-თი-ეი-დი ლათინური ასოებით) მიერ რეკომენდებული საბაჟო კონტროლის კომპიუტერიზებული სისტემის (პროგრამა „ასიკუდა“) დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები.

2. დადგინდეს, რომ:

2.1. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამტარ პუნქტებში თავის ფუნქციებს განახორციელებს მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახური საბაჟო დეპარტამენტის თანხმობის საფუძველზე;

2.2. სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და სხვა სამსახურები განლაგდნენ სპეციალურ საბაჟო კონტროლის ზონებში (შემკრებ-გამანაწილებელი) საბაჟო გამტარი პუნქტების მიმდებარე ტერიტორიაზე და განახორციელონ ვიზუალური საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი დებულების თანახმად;

2.3. იმპორტირებული ტვირთის საბაჟო გაფორმება მოხდეს რეგიონალურ საბაჟო შემკრებ ტერმინალებში (საბაჟო საწყობებში) საბაჟო დეპარტამენტის მიერ დადგენილი წესით. სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარულმა, ფიტოსანიტარიულმა და სხვა სამსახურებმა თავიანთი ფუნქციები განახორციელონ რეგიონალური ტერმინალების ტერიტორიაზე;

საბაჟო დეპარტამენტმა (თ.აბულაძე) უზრუნველყოს 2.2 და 2.3. პუნქტებში აღნიშნული სამსახურებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ.იაკობიძე) ეკონომიკის სამინისტროსა (ვ.პაპავა) და სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზასთან“ (ბ.სარალიძე) ერთად წარმოადგინოს წინადადებები „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ამ კანონით საქართველოს ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის შემოსვლისათვის და სატრანზიტო მოძრაობისათვის საქართველოს საზღვრებზე გათვალისწინებული გადასახადების საბაჟო დეპარტამენტის მიერ აკრეფის მიზნით.

4. ჩამოყალიბდეს ქ. თბილისის ლილოს ხილბოსტნეულის სასაწყობო მეურნეობის ბაზაზე რეგიონალური საბაჟო შემკრები ტერმინალი (საბაჟო საწყობი „ლილო-1“).

4.1. გადაცემულ იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქ.თბილისის ლილოს ხილბოსტნეულის ბაზა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ბალანსზე.

5. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ (ა.სილაგაძე), სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ (ბ.გულუა) და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის განაცხადის საფუძველზე:

5.1. გამოყონ საბაჟო შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტებისათვის შენობა-ნაგებობანი მიწის ფართობებით საბაჟო გამტარი პუნქტების მიმდებარე ტერიტორიაზე;

5.2. ეტაპობრივად გადასცენ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს ბალანსიდან ბალანსზე დაუტვირთავი და გამოუყენებელი სასაწყობო მატერიალურ-ტექნიკური ობიექტები;

5.3. დააჩქარონ სამუშაოები საბაჟო ტერმინალების ჩამოყალიბებისათვის პირველ ეტაპზე ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ახალციხეში, ხაშურში, გორში, მცხეთის რაიონში (ნატახტარი). მეორე ეტაპზე ტვირთბრუნვის ზრდის კვალობაზე-ოზურგეთში, ზუგდიდში, რუსთავში, მარნეულში, გურჯაანსა და ყაზბეგში.

6. საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიამ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის განაცხადის საფუძველზე გადაწყვიტოს საბაჟო გამტარი პუნქტების მიმდებარე ტერიტორიაზე შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტებისათვის საჭირო მიწის ფართობის გამოყოფის საკითხი.

7. საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (ბ.დარჯანია):

7.1. უზრუნველყოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის, წონით და გაბარიტული პარამეტრებისა და ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების კონტროლი, გადაზიდვის სპეციალური ნებართვის გაცემა დადგენილი წესის შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაცია და შესაბამისი კონტროლი;

7.2. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან ერთად დაუწესოს მკაცრი კონტროლი საქართველოს საბაჟო საზღვრებზე გადამზიდველების მიერ საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებას, არ დაუშვას სათანადო ნებართვის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების ავტოტრანსპორტის შემოსვლა.

8. ქ.თბილისის მერიამ (ბ.შოშიტაიშვილი) უზრუნველყოფის საერთაშორისო სატრანსპორტო ტვირთზიდვის დიდგაბარიტიან და მძიმეწონიან სატრანსპორტო საშუალებათა ქ.თბილისის შემოვლითი (სატრანზიტო) გზით გასატარებლად საჭირო ღონიძიებათა განხორციელება.

8.1. კონცერნ „საქავტოგზამ“ (ბ.სარალიძე) უზრუნველყოს ქ.თბილისის შემოვლითი (სატრანზიტო) გზის დროული შეკეთება.

9. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა რკინიგზის დეპარტამენტთან ერთად შეიმუშაოს რკინიგზით გადასაადგილებელი ტვირთის საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის ერთიანი წესი.

9.1. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა (ა.ჩხაიძე):

9.1.1. უზრუნველყოს გარდაბნის რკინიგზის სადგურის სარკინიგზო ჩიხის სასწრაფო აღდგენა სრულფასოვანი საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

9. 1. 2. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი სარკინიგზო ტერმინალების სისტემის ჩამოყალიბების თაობაზე.

10. საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (ზ. ჭანკოტაძე) საბაჟო დეპარტამენტთან (თ, აბულაძე) ერთად თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და ქვეყნის სხვა აეროპორტებში უზრუნველყოს სრულფასოვანი საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო პირობების შექმნა.

11. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (ზ. ვარშანიძე) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან (თ, აბულაძე) ერთად შექმნას ყველა პირობა საპორტო-საბაჟო კონტროლის ზონებში სრულფასოვანი საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის.

11.1. ბათუმისა და ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურების ტერიტორიები გამოცხადდეს საბაჟო კონტროლის ზონებად.

12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე):

12. 1. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან (თ. აბულაძე) და კონცერნ „საქავტოგზასთან“ (ბ. სარალიძე) ერთად დაადგინოს სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის სატრანზიტო და შიდა სატრანზიტო მარშრუტები (სარეზერვო მარშრუტების გათვალისწინებით).

12.2. დადგენილ სატრანზიტო მარშრუტებზე საბაჟო კონტროლის რეჟიმით მოძრავ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გადაადგილებისა და ტვირთის დანიშნულებისამებრ დროული მიტანის უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის შეჩერება და მათ მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენება განახორციელოს მხოლოდ საგზაო მოძრაობის წესების, დადგენილი მარშრუტების დარღვევის ან დანაშაულის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის არსებობის შემთხვევებში;

ამ მიზნით წარმოადგინოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებათა შეტანის შესახებ;

12.3. ქმედითი დახმარება გაუწიოს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს გადამზიდველების მიერ სპეციალური ნებართვის გარეშე უცხოეთის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, სამგზავრო ავტობუსებით კაბოტაჟური ტვირთზიდვის აღკვეთის საქმეში;

12.4 . უზრუნველყოს რეგიონალური საბაჟო შემკრები ტერმინალების (საბაჟო საწყობების) დაცვა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

12.5. ეკონომიკური დანაშაულობებისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზნით საბაჟო დეპარტამენტთან ერთად შეიმუშაოს სათანადო წინადადებანი საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრული რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და კომპეტენციის დადგენის შესახებ;

13. საქართველოს ტერიტორიაზე საიმპორტო, საექსპორტო და სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვის კონტროლის განხორციელებისას დუბლირებისა და პარალელიზმის გამორიცხვისათვის საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სამსახურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით მიეცეთ უფლება გამოიყენონ საგზაო პოლიციის საგუშაგოები კავშირგაბმულობის საშუალებებით ტვირთის მოძრაობის კონტროლისა და დაკვირვების მიზნით.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა უზრუნველყოს აღნიშნული საგუშაგოების აღჭურვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით.

14. მიღებულ იქნეს საბაჟო დეპარტამენტის წინადადება, რომ საბაჟო წესების დარღვევების, კონტრაბანდის, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში არსებული საბაჟო წესების დარღვევებისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო გარდაიქმნას ოპერატიულ სამმართველოდ.

15. „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაუქმდეს „მოქალაქეთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე ნაღდი ვალუტის გატანის დროებითი წესის შესახებ“ და „საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 6 იანვრის № 1 ბრძანებულებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 6 იანვრის № 1 და 1995 წლის 6 მაისის № 158 ბრძანებულებანი.

16. საქონელგაცვლითი და არასაქონელგაცვლითი ოპერაციების დროს საბაჟო პროცედურების მოსაკრებლების განაკვეთი განისაზღვროს საბაჟო ღირებულების 0,3 პროცენტის ოდენობით.

16.1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში ეკონომიკური სტიმულირებისა და მატერიალური წახალისების ფონდების შექმნისა და გამოყენების წესის დანერგვა, დამხმარე მეურნეობებისა და ობიექტების შექმნა.

16.2. მიღებულ იქნეს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის წინადადება, რომ საბაჟო სფეროში კორუფციისა და სხვა დანაშაულობების აღკვეთისათვის საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შეიქმნას განსაკუთრებული ინსპექცია.

17. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს საბაჟო სისტემის რეგიონალური პრინციპით მოწყობა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ.იაკობიძე) საბაჟო დეპარტამენტის წარდგინებით დაამტკიცოს საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურა, მასში აფხაზეთის, აჭარისა და მოძრავი რეგიონალური საბაჟო სამმართველოების გათვალისწინებით და უზრუნველყოს, რომ მას შეესაბამებოდეს საბაჟო დეპარტამენტის საშტატო ნუსხა.

18. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო საზღვარზე საერთაშორისო ტვირთზიდვის მოწესრიგებისა და ფუნქციათა ურთიერთგამიჯვნის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა (ვ.ჩხეიძე), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ.თარგამაძე) და საქართველოს უშიშროების სამინისტრომ (შ.კვირაია) თავიანთი უფლებამოსილებანი განახორციელონ კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში, საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში ჩაურევლად.

19. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა (თ.აბულაძე) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან (ი.მენაღარიშვილი) ერთად მოამზადოს წინადადებანი საერთაშორისო ტვირთზიდვის დარგში საბაჟო კონვენციებთან საქართველოს შეერთების შესახებ.

20. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი.მენაღარიშვილი) უზრუნველყოს საზღვარგარეთის დაინტერესებული ქვეყნების ინფორმირება ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ დებულებათა შესახებ.

21. აღნიშნული ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს საინფორმაციო საშუალებებით.

ე.შევარდნაძე

საქართველოს კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995 წწ., № 27-30, მუხლი 642) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის ტექსტში, მათ შორის სათაურში, სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველოს“, ხოლო სიტყვები „სახელმწიფოს მეთაური“ — სიტყვებით „საქართველოს პრეზიდენტი“, სიტყვები „რესპუბლიკის პარლამენტი“ — სიტყვებით „საქართველოს პარლამენტი“, სიტყვა „გამგეობა“ — სიტყვებით „ეროვნული ბანკის საბჭო“.

2. პირველი, მე-2, მე-6, მე-8, მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. საქართველოს ეროვნული ბანკი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „ეროვნული ბანკი“) არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, წარმოადგენს იურიდიულ პირს. იგი საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, აქვს უფლება დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს, ფლობდეს და განკარგავდეს უძრავ და მოძრავ ქონებას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

2. ეროვნული ბანკის ქონება საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაა.

3. ეროვნულ ბანკს აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

4. ეროვნული ბანკის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

მუხლი 2. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

1. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების, აგრეთვე, საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა;

ბ) განახორციელოს საბანკო საქმიანობისა და ვალუტის გამცვლელი პუნქტების ლიცენზირება და ზედამხედველობა;

გ) ფლობდეს, ინახავდეს და განკარგავდეს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს;

დ) იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი, მრჩეველი და ფისკალური აგენტი;

ე) უზრუნველყოფდეს საგადახდო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას;

ვ) ხელს უწყობდეს საიმედო და მდგრადი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას“.

„მუხლი 6. ეროვნული ბანკის მმართველობა

1. ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო 9 წევრის შემადგენლობით.

2. ეროვნული ბანკის საბჭო შეიმუშავებს საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას და ზედამხედველობას უწევს მის განხორციელებას ამ კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები. ცნობილნი პატიოსნებით და აღიარებულნი პროფესიონალიზმით საბანკო, ფულად-საკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში.

4. ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში, საბჭოს თავმჯდომარის გარდა, შედიან ეროვნული ბანკის სამი ვიცე-პრეზიდენტი და ხუთი სხვა წევრი.

5. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით შვიდი წლის ვადით, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

6. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გადაყენება საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

7. დასაშვებია საბჭოს წევრების ხელახალი არჩევა. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მაგივრად აირჩევა ახალი წევრი.

8. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს — ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

9. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გათავისუფლდება, თუ იგი:

ა) საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად გადაყენებულია ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან;

ბ) დაკარგა საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავების უფლება ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად;

გ) დაუშვა სერიოზული სამსახურებრივი გადაცდომა, რითაც არსებითი ზარალი მიაყენა ეროვნულ ბანკს;

დ) ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის გამო;

ე) გახდა ვალაუვალი ან გამოცხადებულია გაკოტრებულად და არ არის რეაბილიტირებული.

ანალოგიური წესით ხდება ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტების თანამდებობიდან გათავისუფლება“.

„მუხლი 8. ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილებანი

ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა (მათ შორის ღია ბაზარზე), ბანკის ოპერაციების ლიმიტები, პროცენტული განაკვეთები, ბანკის სააღრიცხვო და სასესხო ოპერაციების მიხედვით ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში შესანახი სავალდებულო რეზერვები და მათი დონე;

ბ) დაადგინოს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი;

გ) დაამტკიცოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტი;

დ) წარადგინოს წინადადებები ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალის მოცულობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

ე) შექმნას სპეციალური დანიშნულების რეზერვები;

ვ) განიხილოს, დაამტკიცოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ეროვნული ბანკის წლიური მოხსენებები და საფინანსო ანგარიშგებანი.

მუხლი 9. საბჭოს წევრების დამატებითი სარგოების განსაზღვრა

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი“.

3. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტის“, „მინისტრთა კაბინეტი“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „მთავრობის“, „მთავრობა“.

4. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები „მინისტრთა კაბინეტი“.

5. მე-10 მუხლში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტის“ შეიცვალოს სიტყვით „მთავრობის“.

6. ამოღებულ იქნეს მე-11 მუხლი.

7. 22-ე მუხლში ნაცვლად ციფრების და სიტყვებისა „1 300 000 000 000 (ერთი ტრილიონ სამას მილიარდ კუპონს)“ ჩაიწეროს — 1 300 000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარს“.

8. 23-ე, 26-ე, 29-ე, 32-ე მუხლებში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტს“, „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს“.

9. 25-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „ანაზღაურებული კაპიტალი“ შეიცვალოს სიტყვებით „განაღდებული კაპიტალი“, მე-3 პუნქტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის“ შეიცვალოს სიტყვებით „ფინანსთა სამინისტროს“.

10. 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მიმოქცევისათვის უვარგისი ეროვნული ვალუტის, ბანკნოტებისა და მონეტების გამოცვლის წესს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი“. ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-3 პუნქტი.

11. 50-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის“.

12. 51-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტის“ შეიცვალოს სიტყვებით „ფინანსთა სამინისტროს“.

13. 52-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის“ შეიცვასლოს სიტყვებით „მთავრობის“, ხოლო მე-2 პუნქტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი“ კონსულტაციებს იღებს ეროვნული ბანკიდან. ამ უკანასკნელის მოვალეობაა სახელმწიფოს მეთაურის ან“ შეიცვალოს სიტყვებით „ეროვნული ბანკის მოვალეობაა ქვეყნის პრეზიდენტისა და“ შემდეგ როგორც ტექსტშია.

14. 53-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და“.

15. 54-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და რესპუბლიკის“.

16. 55-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და“ შეიცვალოს სიტყვებით „თავად სახელმწიფოს“.

17. 57-ე მუხლის სათაურიდან და პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მინისტრთა კაბინეტისათვის გასაცემი“, „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და“.

მე-2 პუნქტში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტს სესხი, რომელიც ფინანსთა სამინისტროზე გაფორმდება“ შეიცვალოს სიტყვებით „სესხი ფინანსთა სამინისტროს“.

მე-3 პუნქტში სიტყვები „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს“ შეიცვალოს სიტყვებით „ფინანსთა სამინისტროს“. მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტებში სიტყვები „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი“, „საქართველოს რეპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა“, „მინისტრთა კაბინეტისათვის“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „ფინანსთა სამინისტრო“, „ფინანსთა სამინისტროსათვის“.

18. 58-ე მუხლში სიტყვები „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან“ შეიცვალოს სიტყვებით „ფინანსთა სამინისტროსაგან“, ხოლო სიტყვები „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის“ — სიტყვებით „ფინანსთა სამინისტროსათვის“.

19. 69-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 69. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ანგარიშგება

1. ახალი საფინანსო წლის დაწყებამდე სამი თვით ადრე ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს. პარლამენტი დადგენილებით განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მომავალი წლისათვის. თუ პარლამენტი ახალი საფინანსო წლის დაწყებამდე ვერ განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ეროვნული ბანკი მოქმედებს მის მიერ შემუშავებული პროექტის ფარგლებში.

2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით განისაზღვრება ინფლაციის დონე, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა, ეროვნული ბანკის მიერ მთავრობისათვის გასაცემი კრედიტების მაქსიმალური ოდენობა, ამ პარამეტრების უზრუნველმყოფელი ფულად-საკრედიტო რეგულირების მექანიზმები, საკურსო და სავალუტო რეჟიმი, სამართლებრივი ბაზისა და ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის ღონისძიებები.

3. ყოველწლიურად, საფინანსო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს სამი თვისა, ეროვნული ბანკი პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

პარლამენტი ამტკიცებს წარდგენილ ანგარიშს.

4. ეროვნული ბანკის ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას ეროვნული ბანკის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციებს აძლევს ეროვნულ ბანკს“.

20. 75-ე მუხლის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) „სახელმწიფო უწყება “— საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ქვედანაყოფი ან უწყება“.

„კ) „კრედიტი“ — დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფადობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება“.

ამავე მუხლს დაემატოს „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) „დენომინაცია“ — ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მოწესრიგების, აღრიცხვისა და ანგარიშსწორების გაადვილების მიზნით ეროვნული ფულის ერთეულის გამსხვილება დაწესებული თანაფარდობის მიხედვით ძველი ფულის ნიშნების ახალზე გადაცვლის მეშვეობით“.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 28 მაისი.

საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ. № 21-22, № 455) მე-60 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები“

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

თბილისი, 1996 წლის 13 მაისი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„უცხოეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურის ცენტრებთან, დაწესებულებებთან, ინვესტორებთან პარტნიორული ურთიერთობის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კანონი „უცხოეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურის ცენტრებთან, დაწესებულებებთან, ინვესტორებთან პარტნიორული ურთიერთობის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ“ მიღებულ იქნეს გამარტივებული წესით, ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ვახტანგ ყოლბაია

თბილისი, 1996 წლის 14 ივნისი.

საქართველოს კანონი

უცხოეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურის ცენტრებთან, დაწესებულებებთან, ინვესტორებთან პარტნიორული ურთიერთობის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ.

უცხოეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, და კულტურის ცენტრებთან, აგრეთვე ცალკეულ ინვესტორებთან — იურიდიულ თუ კერძო პირებთან — პარტნიორული ურთიერთობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 1.

საქართველო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის განვითარებას მიიჩნევს უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედ და სახელმწიფო სტრუქტურების, მთელი საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის ინტელექტუალურ პოტენციალს — უპირველეს სიმდიდრედ, რომლის დაცვა სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის მოვალეობაა.

მუხლი 2.

სახელმწიფო მის ხელთ არსებული შესაძლებლობებით, მათ შორის სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით, სპონსორთა, მეცენატთა, ინვესტორთა მორალური და მატერიალური წახალისებით განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგებს უქმნის განვითარების ყველა პირობას.

მუხლი 3.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგებს შორის კავშირი, ურთიერთობა უცხოელ პარტნიორებთან — ორგანიზაციებთან, ფირმებთან, სპონსორებთან, მეცენატებთან — ემსახურება შესაბამისი დარგის დაცვას, პოპულარიზაციას, განვითარებას და ემყარება შემდეგ პრინციპებს:

ა) საერთო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ პროგრამებში მონაწილეობის დროს საერთო-ეროვნული და სახელმწიფოებრივი, აგრეთვე მონათესავე დარგების ინტერესების გაუთვალისწინებლად საკითხის გადაწყვეტის დაუშვებლობას;

ბ) სახელმწიფო და კერძო სექტორში ერთობლივი დარგთაშორისი ან უცხოელ პარტნიორებთან ინტეგრირებული პროგრამების ამოქმედებისათვის სახელმწიფოს მიერ ხელის შეწყობას;

გ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული კავშირურთიერთობის, საერთო პროგრამების სახელმწიფოებრივი პოლიტიკისადმი დაქვემდებარებას, რაც განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შესახებ კანონებით, სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 4.

საქართველოში უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო, მეცნიერული თუ კულტურული კერების — სასწავლებლების, კვლევითი ინსტიტუტების, მუზეუმების და სხვა ასეთი დაწესებულებების შექმნა, ისევე, როგორც ანალოგიური ქართული კერებისა — უცხოეთში, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან არსებული უწყებათშორისი საბჭოს დასკვნის საფუძველზე. უწყებათშორისი საბჭოს დებულებას და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 14 ივნისი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1996-97 სასწავლო წლისათვის დასწრებულ და დაუსწრებელ სწავლებაზე ჩასარიცხად შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:



დასწრებულ სწავლებაზე:

1. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სპეციალობით:

ა) ზოოინჟინერი (ქართული და რუსული სექტორი),

ბ) რძისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია და მენეჯმენტი (ქართული და რუსული სექტორი),

გ) თევზის წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგია და მენეჯმენტი,

დ) ტყავბეწვეულის გადამუშავების ტექნოლოგია და მენეჯმენტი,

ე) მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნე და მენეჯმენტი,

ვ) მარცვლეულის (კომბინირებული საკვების) შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია და მენეჯმენტი,

ზ) კინოლოგია და წვრილი ცხოველების დაავადებები (ქართული და რუსული სექტორი).

2. ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტზე სპეციალობით: ა) ფართო პროფილის ვეტერინარი ექიმი (ქართული და რუსული სექტორი),

ბ) სააფთიაქო საქმე და მენეჯმენტი.

3. დაუსწრებელ სწავლებაზე სპეციალობით ზოოინჟინერი.

ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე მიღება იწარმოებს აგრეთვე ფასიან სწავლებაზე.

ინსტიტუტში ასაკის შეუზღუდავად მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე აბიტურიენტები.

ინსტიტუტში შესვლისას ყველა აბიტურიენტს აქვს თანაბარი უფლება. სწავლების ყველა ფორმაზე კონკურსი ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიხედვით მოეწყობა.

ინსტიტუტში შესვლის მსურველებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების ან საშუალო სპეციალური განათლების დოკუმენტის დედანი.

2. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ).

პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად. საბუთების მიღება უფასო სწავლებაზე იწარმოებს 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით, ფასიან სწავლებაზე 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, გარდა შაბათისა და კვირისა, 10 საათიდან 15 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება — 23 ივლისიდან შემდეგ საგნებში:

ა) ზოოინჟინერი (დასწრებული და დაუსწრებელი სწავლება),

ბ) კინოლოგია და წვრილი ცხოველების დაავადებები,

გ) ფართო პროფილის ვეტერინარი ექიმი, ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

დანარჩენ სპეციალობებზე შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ საგნებში: ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

აბიტურიენტებმა, რომლებმაც არაქართული სკოლა დაამთავრეს და სურთ ინსტიტუტში სწავლა ქართულ სექტორზე, აბარებენ ქართულ წერას, წაკითხულის შინაარსს.

ინსტიტუტი აცხადებს აგრეთვე მიღებას მეორე სპეციალობის დაუფლების მსურველთათვის დასწრებულ და დაუსწრებელი სწავლების ზემოთ აღნიშნულ სპეციალობებზე (ფასიანი სწავლება), განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, რომელსაც თან უნდა დაურთონ უმაღლესი განათლების დოკუმენტი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ), ჩარიცხვა მოხდება ფაკულტეტების, სპეციალობებისა და კურსების მიხედვით, გასაუბრების წესით.

ღია კარის დღე ჩატარდება 4 ივლისს 11 საათზე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში, მისამართი: თბილისი — კრწანისი. ტელეფონები 72-37-52; 72-11-64.

კონკურსი

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია აცხადებს კონკურსს პროფესორისა და დოცენტის თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ სპეციალობებში:

სისხლის სამართალი (2 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

სისხლის სამართლის პროცესი (2 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

სახელმწიფო სამართალი (2 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

ადმინისტრაციული სამართალი (2 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი).

სამოქალაქო სამართალი (2 მეცნიერებათა დოქტორი, 2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

სამოქალაქო სამართლის პროცესი (2 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

კრიმინალისტიკა (2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

კრიმინოლოგია (1 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

ფსიქოლოგია (1 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 1 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

ფინანსები და საბანკო საქმე (2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

საბაზრო ეკონომიკის თეორია (2 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი);

ასაკი: დოქტორი, პროფესორი-55 წლამდე; კანდიდატი, დოცენტი 40-წლამდე.

საბუთების შეტანის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან. კონკურსის მონაწილეებმა საბუთები უნდა შეიტანონ აკადემიის უფროსის სახელზე.

აკადემიის მისამართი:
გლდანი, ქერჩის № 22
ტელ: 67-27-64; 68-49-37

ცეკავშირის სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1996-1997 სასწავლო წლის დღის
დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე
სპეციალობებზე:

1. ეკონომიკის ფაკულტეტი

— საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა;

— ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;

— ფინანსები და საბანკო — საგადასახადო საქმე.

მისაღები გამოცდები:
1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
2. მათემატიკა (ზეპირი).

2. იურიდიული ფაკულტეტი

— სამართალმცოდნეობა

მისაღები გამოცდები:
1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
2. ისტორია (ზეპირი).

3. ტექნოლოგიური ფაკულტეტი

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება, გამოშვება და რეალიზაცია;

— პურპროდუქტებისა და საკონდიტრო წარმოების ტექნოლოგია და მენეჯმენტი.

მისაღები გამოცდები:
1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
2. ქიმია (ზეპირი).

ინსტიტუტი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია.

ინსტიტუტის ტრადიციები, საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადების გარანტიაა.

მიმდინარეობს უცხო ენებისა და კომ
ტერზე მუშაობის გაძლიერებული სწავლ
ცეკავშირი წარჩინებულ სტუდენტებს
ნიშნავს სტიპენდიას და გააგზავნის ს
რებაზე უცხოეთში.

განცხადებას უნდა დაერთოს
1. განათლების დოკუმენტი (დედანი)
ნართთან ერთად;
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 08
3. ექვსი ფოტოსურათი (3X4).
საბუთების მიღება 27 ივლისამდე 10
18 საათამდე.

მისაღები გამოცდები 29 ივლისიდ

სწავლება საგრძნობლად შეღავათიან ფასებში.

სწავლების ხანგრძლივობა 5 წ

მისამართი:
თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 44
მეტრო „გოცირიძის"
(ყოფილი „დელისის") ამოსასვლელთ
ტელეფონები:
39-18-03; 39-68-30.

თამარ მეფის ხსოვნის უკვდავსაყოფად

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია აცხადებს ღია კონკურსს თამარ მეფის ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის

კონკურსისათვის მასალების წარმოდგენის ვადაა 3 თვე კონკურსის პირობების გამოქვეყნების დღიდან.

ძეგლის აღსამართავად შერჩეული ადგილის გეგმის მიღება შეიძლება სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში.

საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტორის, ან ავტორთა ჯგუფის შემდეგი მასალა:

1) ძეგლის მაკეტი;

2) განმარტებითი ბარათი, რომელშიც ასახული იქნება:

— მონუმენტის საერთო აღწერილობა და მხატვრული იდეა;

— ქალაქმშენებლობის სიტუაცია;

— ფართობზე განლაგება;

— მონუმენტის აღქმა მხარეების მიხედვით;

— ურთიერთკავშირი გარემოსთან;

— ტერიტორიის კეთილმოწყობა;

— კონსტრუქცია და სამშენებლო სამუშაოები;

— აღმართვის მასალები და მეთოდები.

ძეგლის პროექტის საკონკურსო პირობები შემდეგია:

1. საკონკურსო მასალა ავტორის გვარის, სახელის, მამის სახელის და მისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქნას მისამართზე: ქ.ახალციხე (რაბათი), პეტრე ხარისჭარიშვილის ქ. № 1, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქვის ძეგლების საგამოფენო დარბაზი, „თამარ მეფის ძეგლის პროექტის კონკურსი" (აღნიშვნით);

2. არასრული სახით წარმოდგენილი საპროექტო მასალა, ან ის პროექტები, რომლებიც დებულებისა და პირობის დარღვევით შემოვა, კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს;

3. ჟიურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად საუკეთესო ნაშრომებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

— პირველი პრემია (ერთი) — 2000 ლარი;

— მეორე პრემია (ერთი) — 1500 ლარი

— მესამე პრემია (ერთი) — 1000 ლარი

— წამახალისებელი პრემია (ორი) — 500 ლარი.

4. პირველი პრემიით აღნიშნული პროექტი რეკომენდირებული იქნება განსახორციელებლად, ან შემდგომში დამუშავება-სრულყოფისათვის.

5. პრემირებული პროექტები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის გამგებლობაში გადავა.

შენიშვნა:

კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ცნობების მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შემდეგ მისამართზე: ქ.ახალციხე,
თამარ მეფის ქ. № 11
საქართველოს პრეზიდენტის სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია.
ტ: 2-14-34; ან 2-17-27.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

აცხადებს მიღებას 1996-1997 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

— გემთწამყვანი,

— გემთმექანიკური,

— ელექტრომექანიკური,

— გემთმშენებლობა და გემთშეკეთება (მხოლოდ დასწრებული განყოფილება),

— საზღვაო ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა.

აკადემიაში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე ვაჟები 36 წლის ასაკამდე დასწრებულ განყოფილებაზე და ასაკის შეუზღუდავად დაუსწრებელ განყოფილებაზე. საზღვაო ტრანსპორტის ეკონომიკისა და მართვის, აგრეთვე, გემთმშენებლობისა და გემთშეკეთების სპეციალობებზე ვაჟებთან ერთად მიიღებიან გოგონებიც.

ყველა სპეციალობაზე აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

— განცხადება აკადემიის უფროსის სახელზე,

— ატესტატი ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი),

— ექვსი ფოტოსურათი ზომით 3X4,

— სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086უ) ყველა აცრის გაკეთების ზუსტი თარიღის მინიშნებით,

— სამედიცინო ცნობა ფსიქონევროლოგიური დისპანსერიდან,

— სამედიცინო ცნობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან,

— ცნობა სამუშაო ადგილიდან (მხოლოდ დაუსწრებელ განყოფილებაზე).

— აბიტურიენტის მომსახურეობისათვის გადასახადი ქვითარი 10 ლარის ოდენობით (გადახდა იწარმოებს აკადემიის ბუღალტერიაში).

არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში გადახდილი თანხა აბიტურიენტს არ უბრუნდება.

— პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას, ან ცნობას სამხედრო ვალდებულების შესახებ სამხედრო კომისარიატიდან წარმოადგენენ პირადად.

— საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 10-დან 16 სთ-მდე, შესვენება 13-დან 14 საათამდე, ამა წლის 25 ივნისიდან 20 ივლისამდე დასწრებულ განყოფილებაზე და 25 ივნისიდან 27 ივლისამდე დაუსწრებელ განყოფილებაზე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 23 ივლისიდან.

დაუსწრებელი განყოფილების მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის სისტემაში ან სხვა მონათესავე საზღვაო ორგანიზაციებში მომუშავე პირები.

დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლება ფასიანია.

მისაღები გამოცდები ჩატარდება დადგენილ საგნებში შემდეგი თანმიმდევრობით:

— გემთწამყვან, გემთმექანიკურ, გემთმშენებლობა და გემთშეკეთების სპეციალობებზე:
1) მათემატიკა (წერა),
2) ფიზიკა (ზეპირი),
3) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა — წაკითხული ტექსტის შინაარსი).

— ელექტრომექანიკურ და რადიოტექნიკურ სპეციალობებზე:
1) ფიზიკა (ზეპირი),
2) მათემატიკა (წერა),
3) ქართული ენა და ლიტერატურა (
— წაკითხული ტექსტის შინაარსი).

— საზღვაო ტრანსპორტის ეკონომი
სა და მართვის სპეციალობაზე:
1) მათემატიკა (წერა),
2) გეოგრაფია (ზეპირი),
3) ქართული ენა და ლიტერატურა (
— წაკითხული ტექსტის შინაარსი).

აბიტურიენტები, რომლებსაც დამთა
ბული აქვთ ბათუმის საზღვაოსნო სა
ვლებელი და აბარებენ დაუსწრებელ გა
ნყოფილებაზე, მისაღებ გამოცდებს გა
ლიან შემდეგ საგნებში:
1) მათემატიკა (წერა),
2) ქართული ენა და ლიტერატურა (
— წაკითხული ტექსტის შინაარსი).

აბიტურიენტები, რომლებიც წარმატე
ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს, აკადემ
ჩაირიცხებიან სამედიცინო შემოწმების შ
მდეგ (მათი გემებზე მუშაობის ვარგ
ანობის დასადგენად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმა
რთეთ საზღვაო აკადემიის მიმღებ
კომისიას:
384500, ბათუმი,
რუსთაველის ქუჩა № 53,
ტელეფონი 7-48-51.

„ფანასკერტელის" (ვერაზე) სიახლეები



I სიახლე: ინფორმაცია მათთვის ვისაც თმა სცვივა

ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ცნობილ ბიოლოგს და ხალხურ მკურნალს ქ-ნ ცისანა მჭედლიძეს.

— ქ-ნო ცისანა, რა შეგიძლიათ უთხრათ იმ ხალხს, რომელთაც აქვთ თმის ცვენის პრობლემა?

— ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: შინაგანი ორგანოების დაავადების გამო, ორსულობის შემდგომ პერიოდში ჰორმონალური ძვრების შედეგად, ნერვულ ნიადაგზე, ცხიმიანი ან მშრალი სებორეის შედეგად და სხვა. ამიტომ, ვისაც აწუხებს თმის ცვენა, ქერტლი, თავის კანის ქავილი, თავზე ყველა სახის გამონაყარი ან უკვე დაწყებული თმის ბუდობრივი ცვენა (ალოპეცია), აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

— სად შეიძლება პაციენტმა ჩაიტაროს თმის ცვენის საწინააღმდეგო მკურნალობა?

— გირჩევთ მიმართონ სამკურნალო-სადიაგნოზო გაერთიანება „ფანასკერტელს", რომელიც მდებარეობს ვერაზე, ჭოველიძის ქ. № 13-ში (ყოფილი ბელინსკის). აქ მათ ჩაუტარდებათ ჯერ ექსპრესდიაგნოსტიკა, თმის ცვენის მიზეზების დასადგენად და შემდეგ ინდივიდუალური მკურნალობა, რომელსაც მე ვატარებ.

ქ-ნი ცისანა მჭედლიძე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, დიპლომირებული ხალხური მკურნალი. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი „ფანასკერტელის" მშვენებაა. რაც „ფანასკერტელს" წლების განმავლობაში პაციენტებისაგან მადლობა მიუღია, დიდი ნაწილი პირადად ქ-ნი ცისანას დამსახურებაა — განაცხადა „ფანასკერტელის" პრეზიდენტმა, პროფესორმა გურამ ხაჭაპურიძემ.

მიღების დღეებია: ორშაბათი, სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი. 15.00 — 17.00 — მდე.

II სიახლე:

„ფანასკერტელში" ხდება უმტკივნეულო ეპილაცია უნიკალური უცხოური ეპილატორის გამოყენებით, რომლის საშუალებით, მე-4 სეანსის შემდეგ სრულიად ინკურნება ჭარბთმიანობა (მკურნალობა ტარდება გარანტიით).

III სიახლე:

გაიხსნა სიმაღლეში მომატების და სკოლიოზების სამკურნალო კაბინეტი, სადაც ექიმი — ორთოპედი ნანა დონდუა და ცნობილი მანუალისტები ს. ფირცხალაიშვილი და ვ. ლაპიცკი სასწაულებს ახდენენ. ამ კაბინეტში დამონტაჟებული სპეციალური დანადგარები და ექიმების მაღალი პროფესიონალიზმი ეფექტიანი მკურნალობის გარანტიაა.

IV სიახლე:

უცხოეთში წარმატებით მუშაობის შემდეგ „ფანასკერტელში" დაბრუნდა მამაკაცთა იმპოტენციის ცნობილი ხალხური მკურნალი, მამაკაცთა იმპოტენციის რეალური აღმდგენელი ქალბატონი მარინე ბერიაშვილი. მიღების საათები — ყოველდღე, 16.00 — 19.00 — მდე.

„ფანასკერტელის" მისამართი: ქ. თბილისი, ვერა, მეტრო „რუსთაველი", გამომცემლობა „სამშობლოს" ახლოს — ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) ქუჩა № 13,
ტელ: 98-91-53,
10 საათიდან — 20 საათამდე.

XEROX და HEWLETT PACKARD
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
გთავაზობთ ყველაფერს ოფისისათვის

ასლგადამღები აპარატები	
• სამაგიდო: XEROX XC520, 5009 1:1, 5310	1133 - 2374 ლარი
• საშუალო სიმძლავრის: XEROX 5614, 5316, 5317, 5621	3386 - 10400 ლარი
• დიდი სიმძლავრის: XEROX 5328, 5334, 5343, 5352	6746 - 31443 ლარი
• საინჟინრო: XEROX 2515, 3030	10752 - 23296 ლარი
ფაქსიმილური აპარატები	
• XEROX 7235, 7238, 7239 (ავტომოპასუხით), 7245	765 - 890 ლარი
• XEROX 3006 (მრავალფუნქციონალური)	2 860 ლარი
კომპიუტერები	
• HP Vectra VE-486: 486DX4-100, 8/420/1.44/SVGA 14"	2874 ლარი
• HP Vectra VL-3: Pentium 90, 8/840/1.44/SVGA 14"	4490 ლარი
• HP Vectra VT: Pentium Pro-200, 32/1GB/1.44/SVGA 14"	12525 ლარი
პრინტერები	
• ჭავლური HP DeskJet : 340; 660; 1600; XEROX XJ-5	653 - 2662 ლარი
• ლაზერული HP LazerJet: 5L; 6P; 4; XEROX 4505/08/10/20	1152 - 3910 ლარი
• ლაზერული ფერადი: HP Color LazerJet; XEROX 4900/20	14861 - 16512 ლარი
პერიფერია	
• შავთეთრი და ფერადი სკანერები HP Scanjet 4S/4P/4C/4SI	768 - 5939 ლარი
• მულტიმედია, სტაბილიზატორები, უწყვეტი კვების აპარატები, ქსელის მოწყობილობა და სხვა	
უმაღლესი ხარისხის საკანცელარიო ქაღალდი	
• XEROX "Business" A4, 80 გ/მ (500 ფურცელი შეკვრაში)	10 - 12 ლარი
• XEROX "Business" A3, 80 გ/მ (500 ფურცელი შეკვრაში)	20 - 23 ლარი
• XEROX-ის სხვადასხვა ფერისა და წონის (160-200 გ/მ -მდე)	18 - 25 ლარი
• ფაქსის ქაღალდი	6 - 7 ლარი
იტალიური, უნგრული და ბულგარული საოფისე ავეჯი	
• მაგიდები, სავარძლები, სკამები, კარადები, რბილი ავეჯი	

ჩვენი მისამართია: თბილისი, შავთელის ქ. 5/7, ტელ: 98-36-31, ფაქსი: 98-96-58
წარმომადგენლობა: ზუგდიდი, ფირმა «მეგი». ცოტნე დადიანის ქ. 1 ტელ: 2-40-82

ორგანიზაცია გთავაზობთ
სპილენძის ქლორჟანგს (ხლოროკისმედი), რომელიც განკუთვნილია
— ვაზისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესაწამლად.
— გადახდის ფორმა ნებისმიერი ფაქტიური მიღების შემდეგ.
საკონტაქტო ტელ: 99-84-06
99-00-37.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის განცხადება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
კადეტთა კორპუსი
გაძლიერებული სამხედრო-ფიზკულტურული მომ
დებით და უცხო ენების გაღრმავებული სწავლები
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას I კურსზე.
სასწავლებელში მიიღებიან ჯანმრთელი ჭაბუკები, რ
მლებმაც წარმატებით, სანიმუშო და კარგი ყოფაქ
ვით დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
კლასი.
სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია, სწავლა მიმ
ნარეობს ქართულ ენაზე. სასწავლებელში ჩარიცხუ
მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სახელმწიფ
ხარჯზე.
სასწავლების წარჩინებით კურსდამთავრებულები უ
მოცდოდ ჩაირიცხებიან საქართველოს თავდაცვის ს
მინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის მ
მენელებად, აგრეთვე საშუალება მიეცემათ გაზდნენ
ზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო სასწავლებლებ
მსმენელები.
კადეტთა კორპუსი იძლევა ზოგად საშუალო გან
ლებას.
განცხადება კადეტთა კორპუსში მიღების შესახებ შემოაქ
მოსწავლის მშობლებს 1 ივლისიდან 10 აგვისტომდ
განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:
– მოსწავლის პირადი განცხადება კადეტთა კორპ
სის უფროსის სახელზე;
– დაბადების მოწმობის ასლი;
– მოწმობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცხ
კლასის დამთავრების შესახებ;
– დახასიათება სკოლის დირექტორ
და კლასის დამრიგებლის ხელმოწერით;
– ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
– ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ga
ცემული რაიონული სამხედრო კომისარიატის სამე
ცინო კომისიის მიერ საცხოვრებელი ადგილის მი
დგით;
– ოთხი ფოტოსურათი 3V4.
მისაღები გამოცდები ტარდება 15-დან 30 აგვის
მდე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენ
და ლიტერატურაში, მათემატიკაში და ფიზიკურ მო
ზადებაში.
გამოცდების ჩაბარების წინ მოსწავლეები გაივლ
სათანადო პროფესიულ-ფსიქოლოგიურ შერჩევას და ს
მედიცინო შემოწმებას.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: თბილის
ზღვა, პროფკავშირების ყოფილი სასწავლო ცენტრ
ტელეფონები: 61-31-23; 61-01-02.

სასწავლების ადმინისტრაც

აქტუალური რეპორტაჟი

ქვეყნის ცივილიზაციის დონე იმის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ როგორ ზრუნავენ იქ მოზარდებზე და როგორ უვლიან ხანდაზმულებს.

თუ ჩვენს ქვეყანას ამ კრიტერიუმით შევაფასებთ, მაშინ ცივილიზაციისაგან გვარიანად შორს აღმოვჩნდებით. ცხადია, ამას თავისი, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზები აქვს, — ერთიანად განადგურებულ-გაპარტახებული ქვეყანა მხოლოდ ახლა დგება ნანგრევებიდან, მაგრამ ობიექტური მიზეზებით თავის მართლება და ხვალინდელი კეთილდღეობის მოიმედეობა რას გვარგებს? ან კი ვის წინაშე ვიმართლოთ თავი? — მომავალი ჩვენ გვეღუპება.

ამას წინათ, საპატრიარქოში გამართულ ხუთშაბათობის შეხვედრაზე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გაიხსენა: ომის წლებში, როცა საქართველოში ევაკუირებული მოსახლეობა, თბილისის ქუჩები მათხოვრებით გაივსო, მაგრამ მათ შორის ერთი ქართველიც არ ერიაო.

ახლა აქ უცხო ჯვარტომის გლახას ძალიან იშვიათად შეხვდებით. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, მეტროს სადგურებთან დგანან თავჩაქინდრული და ხელგაწვდილი ჩვენი თანამემამულეები.

ძნელია ამ სანახაობის შეჩვევა, მაგრამ ჩანს, ბოლოს ყველაფერს ეჩვევა კაცი. ამ პირველმა ზაფრამ, სახეზე ხელაფარებულ, ინტელიგენტური გარეგნობის მანდილოსანს მოწყალება რომ გაუწოდე, გაიარა. ახლა ისე აღარ გცემს თავზარს პატარა მათხოვრების ხმაწკრიალა სიმღერები მეტროს გადასასვლელებში. თუმცა, მადლობა ღმერთს, ამ უკანასკნელ ხანს, ის გულისმომკვლელი სიმღერებიც ნაკლებად გვესმის, — შეთხელდა პატარა მათხოვრების ლაშქარი. ქვეყანაში წესრიგი მყარდება. სამართალდამცავ ორგანოებს მეტი საშუალება მიეცათ საზოგადოებრივ წესრიგს მიხედონ. არც საზოგადოებაა გულხელდაკრეფილი. ბავშვთა ხვედრის შემსუბუქებისთვის თავდადებით იღვწის ეკლესია. ბევრს აკეთებენ ქალთა, ახალგაზრდობის, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციები. მაგრამ ჯერჯერობით ეს, თურმე, ზღვაში წვეთი ყოფილა, ამაში დაგვარწმუნა ახლახან სამგორის რაიონში გამართულმა შეკრებამ, რომელსაც რაიონის აქტივთან ერთად ესწრებოდნენ რესპუბლიკის განათლების, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, პარლამენტარები. განიხილებოდა საკითხი რაიონში არასრულწლოვანთა დანაშაულის, უზედამხედველობისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის შესახებ. მოდით, თბილისის ეს ერთი რაიონი მთელი ქვეყნის მოდელად ჩავთვალოთ, სატკივარი ხომ ერთია! მოვისმინოთ, რას ამბობენ ამ თავყრილობის მონაწილეები.

შეკრება გახსნა სამგორის რაიონის გამგებელმა გივი მაზიაშვილმა. შემდეგ მოისმინეს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარის მოხსენება.

დაე, ეს პატარა ფორუმი დიდი საქმის სათავედ იქცეს, ჩვენი სჯა-ბაასი—განგაშის ზარად!

სამგორის რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე

ბავშვს ქუჩა და „ქუჩის მესვეურები" დაეპატრონენ.

მამია დარჩია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი

გარდასული დროის ნოსტალგია ნამდვილად არ მჭირს, მაგრამ რაც იმ ძველ დროში ნამდვილად კარგი იყო, იმის უგულებელყოფა არ შემიძლია. სკოლაში იყო ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც შუალედური რგოლის ფუნქციას ასრულებდა სკოლასა და ოჯახს შორის. ეს ყველაფერი მოიშალა, სანაცვლოდ კი ვერაფერი შევქმენით. წარმოიშვა ვაკუუმი და იგი ქუჩამ დაიკავა. ბავშვს ქუჩა და „ქუჩის მესვეურები" დაეპატრონენ. ძნელად აღსაზრდელებიც და დამნაშავეებიც სწორედ ქუჩამ გვიწყალობა.

მოზარდთა დამნაშავეობა არნახულად გაიზარდა. ათიოდე წლის წინათ, როცა განათლების სისტემაში ვმუშაობდი, თუ არასრულწლოვანთა დანაშაული ერთ პროცენტს ასცდებოდა (ანუ 100 დამნაშავეში 1 მოზარდი აღმოჩნდებოდა) არ დარჩებოდა ზემდგომი ინსტანცია, რომ არ დავეძახებინეთ და არ დაგვმუქრებოდნენ — თანამდებობებს დაკარგავთ, თუ სასწრაფოდ ზომებს არ მიიღებთო... ახლა არასრულწლოვანთა დამნაშავეობამ 26 პროცენტს მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ დამნაშავეთა ერთი მეოთხედი მოზარდები არიან. ეს კატასტროფაა!

ახლა იმის დრო აღარ არის, პერსპექტიული გეგმები დავსახოთ. ახლა კონკრეტულად უნდა ვთქვათ, ხვალ რას გავაკეთებთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ახლახან შეიქმნა დიდი სამმართველო, რომელიც არასრულწლოვანებთან, მოზარდებთან და სტუდენტებთან იმუშავებს. სამმართველოს უფროსი გელა ქავთარაძე ამ დღეებში არასრულწლოვანთა შორის მუშაობის ინსპექტორთა რესპუბლიკურ თათბირს იწვევს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ინსპექტორთა შორის ბევრია ისეთი, ვისაც არც ბავშვის სიყვარული აწუხებს მაინცდამაინც და არც ეს სამუშაო აინტერესებს. მათთვის ეს სამსახური ტრამპლინია უფრო პრესტიჟული თანამდებობისთვის სისხლის სამართლის სამძებრო, გამოძიების თუ სხვა სტრუქტურებში. აღნიშნული საკითხით დიდად დაინტერესდა შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, რომელმაც განკარგულება გასცა, დაიწყოს ამ ინსპექტორთა ატესტაცია. ალბათ, ბევრს მოუწევს სამსახურის დატოვება. მათ ადგილებზე პედაგოგებს მოიწვევენ, ვისაც ბავშვების სიყვარულიც აქვთ და მათთან მუშაობის გამოცდილებაც; მათ ოფიცრის წოდებას მიანიჭებენ და ანაზღაურებაც კარგი ექნებათ.

შემოვკრათ განგაშის ზარი!

დემურ მიქაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, თბილისის პოლიციის უფროსი

საქართველო აღმავლობის გზას დაადგა. იგი აუცილებლად გახდება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი, ცივილიზებული სახელმწიფო. აღდგება ქვეყნის ეკონომიკა, ამუშავდება დიდი ნავთობსადენი, „აბრეშუმის გზა" და ყველა სხვა სიკეთე. თქვენ, ამ დარბაზში მსხდომებმა ამისთვის ბევრი იშრომეთ, ბევრი გაჭირვება გადაიტანეთ.

მაგრამ ვის უნდა გადააბაროთ თქვენი ნაშრომ-ნაღვაწი? ვინ ჩაიბარებს ჩვენს ესტაფეტას? მზად ვართ იმისათვის, რომ პროცესები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, ერთ რელსს ავაცილოთ და მეორეზე გადავიყვანოთ?

იქნებ გახსოვთ, ამ ორი წლის წინათ მე რომ მშობლებს მოვუწოდებდი: ჩვენი შვილები ერთმანეთს ხოცავენ, გამოდით, ხმა აიმაღლეთ, გავაშველოთ, შევარიგოთ, თორემ ვიღუპებით-მეთქი. უბანი უბანს დასდევდა, ქუჩა—ქუჩას. ყველაფერი იცოდნენ მშობლებმა, მეზობლებმა, პოლიციამ... მაშინ ჩემი მოწოდება არავინ შეისმინა. მერე ყველამ ვნახეთ, როგორ დატრიალდა ბედის ბორბალი: ის ბიჭები ხომ მიწაში ჩავაწვინეთ, მერე, ვინც ისინი დახოცა, ციხეში გავუშვით. იმ ციხიდან კი გამოსწორებული, ვეჭვობ, ვინმე გამოვიდეს — დღევანდელ ციხეში საამისო პირობები არ არის.

მე რომ დაწვრილებით გიამბოთ, დღეს რა პროცესები მიმდინარეობს, სიცოცხლე აღარ მოგინდებათ. გაგიგონიათ 9 წლის მეძავი?

საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავ ზეიმზე რესპუბლიკის მოედანზე 600 ათასმა კაცმა გაიარა. ამდენი ლამაზი, სახეგაბრწყინებული ახალგაზრდა მე ჯერ არსად მენახა. სულ ბოლოს გამოჩნდა ერთი ჯგუფი, 12-14 წლის ოცამდე გოგო-ბიჭი. ვაჟები მამლებივით გაკრეჭილები, გოგონები — წელსზევით შიშვლები, ერთიანად მოსვირინგებულები, ხელში განუყრელი სიგარეტით. რომელიღაც სექტის წევრები ყოფილან. შემზარავი სანახაობა იყო...

ღამის ბარები მთელს მსოფლიოში არსებობს, მაგრამ იქ არასრულწლოვანებს არამცთუ უშვებენ, იმ ქუჩაზეც არ ატარებენ, სადაც ბარებია. ჩვენთან 12 წლის გოგონები ბარებში ათენებენ და შამპანურს ვახტანგურად მიირთმევენ, მათ მშობლებს კი ამ დროს არხეინად სძინავთ. ჩვენი სირცხვილი და უბედურებაა სადგურის შემოგარენი, კომუნარების ბაღი, ტელმანის ქუჩა... და ამის ლოგიკური შედეგი: დღეს საქართველოში განქორწინებათა რიცხვი 38 პროცენტს უდრის (ათი წლის წინათ 8-9 პროცენტი გვაშფოთებდა!), და ამის მიზეზი ძალიან ხშირად იმპოტენციაა.

შეკრებაზე გამომსვლელებმა შეშფოთება გამოთქვეს აგრერიგად გავრცელებული ბავშვთა მათხოვრობისა და მაწანწალობის გამო. მინდა იცოდეთ, რომ თბილისში არსებობს ბავშვთა მათხოვრობის ორგანიზატორთა კოლოსალური დაჯგუფება, მაფია. ერთ დილით პოლიციამ 52 მათხოვარი ბავშვი აიყვანა. საღამოსთვის აღმოჩნდა, რომ ამათგან მხოლოდ 4 ყოფილა უპატრონო. დანარჩენებს მოაკითხეს.

არასრულწლოვანთა პრობლემები მარტო პოლიციის ძალით ვერ გადაწყდება. თვითონ პოლიციასაც ბევრი საკუთარი მოსაგვარებელი პრობლემა აქვს, ამას წინათ გვინდოდა თბილისის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან საშუალო განათლების მუშაკების გაშვება. რამდენიმე დღეში, ათას ორასმა კაცმა ათას ორასი უმაღლესი განათლების დიპლომი წარმოადგინა...

დღევანდელი ჩვენი შეხვედრა დამუხტულია ემოციებით. ყველას გვსურს გავთავისუფლდეთ მანკიერებისგან. დაე, ეს პატარა ფორუმი დიდი საქმის სათავედ იქცეს, ჩვენი სჯა-ბაასი — განგაშის ზარად!

ჯერჯერობით ქუჩა გვჯობნის

კლარა სვანიძე, სამგორის რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარე

1994 წელს სამგორის რაიონში რეგისტრირებული იყო 22 არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი 16 სისხლის სამართლის დანაშაული. 1995 წელს — 29 არასრულწლოვანმა ჩაიდინა 24 დანაშაული — ქურდობა, ხულიგნობა, ყაჩაღობა, ნარკოტიკების გასაღება, მონაწილეობა მძიმე მკვლელობაში.

მაგრამ ეს ციფრები სრულად ვერ ასახავს არსებულ ვითარებას. მდგომარეობა უფრო საგანგაშოა. მაინც, რა მოხდა, რამ გამოიწვია არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ასეთი მკვეთრი ზრდა?

უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ვითარებამ, იმან, რომ მოიშალა კავშირი სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის. მძიმე შედეგი მოჰყვა ამ 5-7 წლის წინათ საქართველოს „ეროვნული მთავრობის" მიერ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით პედაგოგ-ორგანიზატორთა შტატების გაუქმებას, რის შემდეგ მთლიანად მოიშალა ეს სისტემა და თუმცა 1992 წელს კომისიები აღდგა, მაგრამ, ჯერაც ვერ ჩამოყალიბდა არასრულწლოვანთა შორის მუშაობის პროფილაქტიკისა და კოორდინაციის სრულყოფილი სისტემა.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დანაშაულს სჩადიან უზედამხედველო მოზარდები. ჩვენმა კომისიამ, განათლების განყოფილებასთან ერთად, შეისწავლა ეს საკითხი და დაადგინა, რომ რაიონში 36 ობოლია. 600-ზე მეტს არ ჰყავს დედა ან მამა. 900-ზე მეტი მარტოხელა დედის, 450-ზე მეტი — დაცილებული მშობლების შვილია.

ერთხელ, როცა შინაგან საქმეთა განყოფილებასთან ერთად რეიდს ვატარებდით, აღმოვაჩინეთ 13-14 წლის მამით ობოლი დები, რომლებიც დედამ მიატოვა, ახლობლებმა არ მიიღეს. ქარხანა „თბილხელსაწყოს" დირექტორის თ. ბეჟანიშვილის დახმარებით გოგონები სამუშაოზე მოეწყვნენ და სწორ გზას დაადგნენ. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ფირმა „ადამიანი და კანონი", რომლის ხელმძღვანელობამ არაერთხელ გაუწია საქველმოქმედო დახმარება ობოლ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს.

ძალიან ჭირს არასრულწლოვანთა სამუშაოზე მოწყობა. რაიონის საწარმოების უმრავლესობა გაჩერებულია, კერძო ფირმები და ასოციაციები არასრულწლოვანთა სამუშაოდ მიღებაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. და მათი შრომითი მოწყობა კვლავ № 1 პრობლემაა ჩვენს მუშაობაში.

არადა, არ შეიძლება მოზარდის უსაქმოდ ყოფნა. ჩვენს რაიონში ცოტანი არ არიან 12-13 წლის მეძავები. შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაობა ამ მიმართულებით არ არის ეფექტიანი, მათი იზოლირებაც ვერ ხერხდება მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო.

დასამალი არ არის, რომ მოზარდთა დანაშაულის დიდი წილი სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე მოდის. საკუთარი პრობლემებით დამძიმებული სკოლა, ნახევრად მშიერი მასწავლებლებით, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. დღითიდღე იზრდება განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა, შარშან პირველი სემესტრის ბოლოს 41 მოსწავლემ დატოვა სკოლა. არასრულწლოვანთა კომისიის მეცადინეობით მათი უმრავლესობა სკოლას დაუბრუნდა.

დღეს მშობელმა და სკოლამ დაკარგეს მოზარდის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის სადავეები, დარჩა ქუჩა, რომელიც თავისი ცდუნებით ნიადაგ იზიდავს გაუწონასწორებელ მოზარდებს.

ჯერჯერობით ქუჩა გვჯობნის, რადგან მას ვერაფერს ვუპირისპირებთ. არცთუ შორეულ წარსულში რაიონში 40-ზე მეტი სათამაშო და სპორტული მოედანი ფუნქციონირებდა. გვქონდა შესანიშნავი საბავშვო სტადიონი, რომელიც ამჟამად სრულიად უმოქმედოდაა, ეწყობოდა რაიონული სპარტაკიადები, სპორტული ასპარეზობანი.

ძალიან გვიშლის ხელს მუშაობაში ის, რომ არასრულწლოვანთა კომისიას დღეს არ გააჩნია დებულება თავისი უფლება-მოვალეობის შესახებ. ასევე არ გააჩნიათ დებულებები სკოლის დირექტორის მოადგილეებს აღმზრდელობით დარგში, სკოლების მასობრივი მუშაობის ორგანიზატორებს, შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციებს.

ასეთ პირობებში მუშაობა ძნელად მოიტანს რეალურ შედეგს, საჭიროა ღრმად გააზრებული, კომპლექსური ღონისძიებების დროულად გატარება. უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის მასშტაბით უნდა შეიქმნას არასრულწლოვანთა კომისიების საქმიანობის მაკოორდინირებელი სამსახური. ასევე — ფსიქოლოგიური სამსახურები სასწავლებლებში. უნდა გამოინახოს საშუალება დასახლებებში სპორტული და სათამაშო მოედნების აღსადგენად, სპორტული ინვენტარის შესაძენად. დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს ბავშვთა და მოზარდთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ბანაკები.

გადავარჩინოთ ახალგაზრდობა და ამით გადავირჩენთ თავს. სხვა გამოსავალი არ არის.

გამოსავალი ერთია — უნდა შეიქმნას სპეცსკოლები

ზალვა იოსელიანი, სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსი

დღეს, ალბათ, ვერც ერთი საშუალო სკოლის ხელმძღვანელი ვერ დაგისახელებთ სკოლიდან განთესილთა ზუსტ რაოდენობას. ვერც იმას გეტყვით, რამდენი ჰყავს ძნელადაღსაზრდელი მოზარდი, რამდენი ბავშვი არ შეიყვანეს მშობლებმა პირველ კლასში.

თავის დროზე არასრულწლოვანთა ინსპექციის მუშაკები ბავშვთა ოთახებში ჭრა-კერვას და ქარგვას ასწავლიდნენ. ის დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს ბავშვს შეხვდებით ჯიხურში, ბენზინის ჩამოსასხმელ სადგურში, სახელდახელოდ გამართულ დახლთან.

პოლიცია დამსჯელი ორგანოა, მაგრამ ჩვენ არასრულწლოვანთა პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის მომხრე არა ვართ. მაშ როგორ მოვიქცეთ, დამნაშავეობამ ხომ გლობალური მასშტაბები მიიღო, სად არის გამოსავალი? ერთადერთ გამოსავლად მე, პირადად, განსაკუთრებული რეჟიმის სასწავლებლების — სპეცსკოლების შექმნა მესახება. მოზარდს უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ დანაშაულის ჩადენისთვის იქ მოხვდება.

სკოლა ოჯახს გვერდით უნდა ედგეს!

თამაზ ნაცვლიშვილი, სამგორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

მასწავლებელი იმისთვის არის მოწოდებული, რომ სწორ გზაზე დააყენოს მოზარდი. ასეთი პედაგოგები ჩვენ მრავლად გვყავს, თუმცა, სავალალოდ, ისეთი შემთხვევებიც ვიცით, როცა თვითონ პედაგოგი გამხდარა მიზეზი ყმაწვილის გზიდან გადაცდენისა. ასეთ ვაი-პედაგოგთა მიმართ მომავალში მეტ პრინციპულობას გამოვიჩენთ.

ჩვენთან იყო ასეთი ტრადიცია: რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები კვირაში ერთხელ ხვდებოდნენ სასკოლო კოლექტივებს, ე. წ. „არაკეთილსაიმედო" ოჯახებს. ასეთი შეხვედრები კარგ შედეგს იძლეოდა. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია მოიშალა.

5-6 წლის წინათ გაუქმდა სახლმმართველობებში პედაგოგ-ორგანიზატორთა შტატები. გადავწყვიტეთ, ჩვენი ძალებით აღვადგინოთ ეს ინსტიტუტი განათლების დაწესებულებებში პერსონალის საშტატო ერთეულების შემცირების ხარჯზე.

„გავროშიზაციამ" თბილისში საშიში მასშტაბი მიიღო

ვაჟა აბაკელია, სამგორის რაიონის პროკურორი

ნებისმიერი დანაშაულის აცილების ყველაზე დიდი გარანტია კანონი. მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში მოზარდის დანაშაულისთვის პასუხს არ სთხოვენ არც ოჯახს, არც სკოლას. პასუხს აგებს სწორედ კანონი, მისი შემსრულებლები.

ძალიან წამოიწია ჩვენთან არატრადიციულმა დანაშაულმა — მათხოვრობამ. ხელგაწვდილი არიან ხშირად არცთუ ცუდად ჩაცმული, ზოგჯერ — კარგად ნაპატივები ყმაწვილები.

მათხოვრობა ლამის ხელობად იქცეს, მან საშიში მასშტაბი მიიღო და მასთან ბრძოლა გაცილებით რთულია, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულთან: დამნაშავეს დასჯიან, კანონის მარწუხებში მოაქცევენ, გამათხოვრებული, პარაზიტულ ცხოვრებას მიჩვეული მოზარდის შრომაში ჩაბმა კი თითქმის უიმედო საქმეა.

ჩვენს რაიონში შეიქმნა 10-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯგუფები, რომლებიც მაღაზიებს ძარცვავენ. როცა დავაკავებთ, ხელწერილს ვადებინებთ და ვუშვებთ, ისინი კი თავისას არ იშლიან. აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო კორექტივის შეტანა.

სხვათა შორის, ამ კოდექსში არის 126-ე მუხლი, რომლითაც ისჯება შვილი, ბოროტად რომ აარიდა თავი მშობლისთვის დახმარების გაწევას. რატომ არ უნდა აგოს პასუხი მშობელმა თავისი 12-13 წლის შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის? ეს იმას არ ნიშნავს, რომ 12 წლის ბავშვმა კაცი მოკლას და მკვლელობისთვის მამამისი დაისაჯოს, მაგრამ მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში ასეა მიღებული: უღირსი შვილის გაზრდისათვის მშობელს მოეკითხება პასუხი მორალური თუ მატერიალური თვალსაზრისით. ასე იყო ჩვენშიც. გავიხსენოთ, თუნდაც, აკაკის „გამზრდელი".

მე გეკითხებით: სად წავიდეს 14 წლის მოზარდი?

ლიდა ვორობიოვა, თბილისის 82-ე საშუალო სკოლის დირექტორი

ჩვენ ხშირად მოგვმართავენ მეოთხე, მეხუთე, მეექვსეკლასელი მოსწავლეების მშობლები: „მოგვეცით ბავშვის პირადი საქმე. მას სწავლა აღარ უნდა". ვეკითხებით: „თქვენ"? მიპასუხებენ: „არც ჩვენ გვინდა"... მართლაც, არ უნდათ — ეს ბავშვები ბაზრობებზე ფულს შოულობენ...

იცით, ვინ იკრიბება ჩვენი სკოლის წინ ყოველი წლის 1 სექტემბერს? — სკოლიდან განთესილები. მიუსაფრები, აწრიალებულები — თავისი ადგილი რომ ვეღარ უპოვიათ.

შიშით ველოდები იმ დღეს, როცა ათასობით ცხრაკლასდამთავრებული ყმაწვილი ქუჩაში დარჩება, რა ქნას? სამუშაოს ვერ იშოვის, სპეციალობას ვერ დაეუფლება (სად დაეუფლოს? — პროფტექნიკური სასწავლებლები დაირბა და გავერანდა).

ერთი ხელის მოსმით განადგურდა ყველაფერი. სპორტულ კლასებში, მხატვრული აღზრდის კოლექტივებში ბავშვებს უფულოდ აღარ იღებენ.

დიდი ძალისხმევა მართებთ სახელმწიფოს და საზოგადოებას, ერთად რომ გადაწყვიტონ ეს უმძიმესი პრობლემა — ბავშვთა დასაქმება. მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, პედაგოგებმა და მშობლებმა უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ბავშვის პიროვნების გადასარჩენად.

ღირსეული პედაგოგი, საბედნიეროდ, ბევრი გვყავს. მასწავლებლის შრომა ფულით არ განისაზღვრება. 10-15 ლარად მომუშავე პედაგოგი ზოგჯერ მეტ ოფლს ღვრის, ვიდრე 200-ლარიანი ხელფასის პატრონი.

სხდომის მიმდინარეობისას დარბაზიდან ქალის ხმა გაისმა: ამდენს რად ვლაპარაკობთ, მიზეზებს რად ვეძებთ, განა არ ვიცით, საიდან მოდის ბანდიტობა? ბავშვებს ყბა ყბაში აქვთ გაყრილი, ფეხმძიმე ქალები შიმშილობენ. ჩემს ოჯახში მარტო მე ვმუშაობ, ქმარ-შვილი შინ მისხედან (ქარხანა გაჩერებულია). ხელფასს მხოლოდ მე ვიღებ და იმდენს მიკავებენ, ხელზე ლამის არაფერი მრჩება. ერთი სიტყვით, ვინც ვმუშაობთ, ისინი ვიჩაგრებით, ვინც ქუჩა-ქუჩა ვაჭრობს, იმათ საშემოსავლოს არავინ უკავებს.

ამ დროს ტრიბუნასთან თბილისის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი ზურაბ ფორაქიშვილი იდგა. „ყველას გვიჭირს, — თქვა მან. — მე, უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს 13 ლარი მაქვს ხელფასი (წინათ ხომ პროფესორის ოჯახი კეთილდღეობის სიმბოლოდ აღიქმებოდა!): ამ რამდენიმე წელიწადში იმდენი რამ დაინგრა და გაპარტახდა, რომ ამის იოლად გამოსწორება შეუძლებელია. მაგრამ გულხელდაკრეფილი ხომ არ ვისხდებით? თუ ყველამ მხოლოდ საკუთარ თავს მოვუარეთ, მხოლოდ ის ვიფიქრეთ, ოჯახისთვის ორიოდ ლარი სად ვიშოვო, დავიღუპებით. და მერე ბულატ ოკუჯავას ცნობილი ლექსის ნაწყვეტი წაიკითხა: „მაშ მეგობრებო, ხელი ხელს მივცეთ, რომ სათითაოდ არ დავიღუპოთ"...

სხვათა შორის, იმ შეკრების ყველა მონაწილის — სიტყვაში გამომსვლელისა თუ დარბაზში მსხდომის (სამგორის გამგეობის დიდი სააქტო დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი) განწყობილებაც ასეთი იყო.

ოღონდ ესაა, დიდი პოეტები ჩვენზე უკეთესად ამბობენ ჩვენს სათქმელს.

ნანული გარათაშვილი,
ბელა დურგლიშვილი.

ინფორმაცია

ეს არის ბაღ-ვენახების ქვეყანა?

წინათ საქართველოში გამოსული მოგზაურები ერთხმად წერდნენ, რომ ეს ბაღ-ვენახების ქვეყანაა. მაგრამ დღეს ამას ვერ იტყვის კაცი. რეკორდულად მოკლე დროში, როგორც ანალიზი ცხადყოფს, რესპუბლიკაში ბაღების ფართობი ლამის ორჯერ შემცირდა და ოდნავ თუ აღემატება 60 ათას ჰექტარს. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა რესპუბლიკის მთავარ ხეხილის ბაღში — გორის რაიონში, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ასი ათას ტონაზე მეტ ხილს რომ იძლეოდა. აქ ხეხილის ადგილი მარცვლეულმა კულტურებმა დაიკავა. უფრო მეტიც, ნარგავების მოსავლელად საჭირო პრეპარატების ნაკლებობამ და სიძვირემ სხვადასხვა დაავადების გავრცელება გამოიწვია.

ამაზე უკეთესი მდგომარეობა როდია ვენახებში. კახეთში 66 ათასი ჰექტარი ვენახიდან 45 ათასი ჰექტარიღა დარჩა. არასწორად ჩატარებული რეფორმირების გამო პრივატიზებული ვენახები, როგორც წესი, დასახლებული პუნქტებიდან 25-30 კილომეტრიან რადიუსში აღმოჩნდა, რაც ახლანდელ პირობებში ბევრი გლეხისათვის შეუძლებელს ხდის მათ დამუშავებას. მარტო ერთ დედოფლისწყაროს რაიონში ამ სეზონში ვერ მოუარეს 3500 ჰექტარ ვენახს!

ანალიტიკოსობა არ არის აუცილებელი იმის დასამტკიცებლად, რომ თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე ჩვენი ბაღ-ვენახებიდან არაფერი დარჩება.

დამნაშავე, რომელიც აღარ არსებობს

ფოთის სატრანსპორტო პროკურატურამ თბილისის ფირმა „ზაზაფეთის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამ ფირმამ კანონის გვერდის ავლით თურქეთში გაიტანა სამი ათასი ტონა ამონიუმის გვარჯილა. ეს ტვირთი საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ გაუგზავნა გარდაბნის რაიონის „საქსოფლქიმიის“ მინდვრის მოსამზადებელი სამუშაოებისათვის, ხელმძღვანელებმა კი, რომლებმაც პროდუქცია არ მიიჩნიეს აგრარიკოსებისათვის საჭიროდ, იგი „ზაზაფეთს“ მიჰყიდეს. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტისათვის ფირმა აღარ არსებობდა.

საქინფორმი.

იარაღი მუზეუმის ტერიტორიაზე

საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში აცნობეს, რომ 25 ივნისს, 12 საათზე პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილში 02 საათზე ანონიმური შეტყობინების შემოწმების დროს განხორციელებული ღონისძიების შედეგად თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამორიგეო სამსახურის თანამშრომლებმა არქეოლოგიის მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარე სამალავში ნახეს იარაღი: 2 ცალი ყუმბარმტყორცნი, 6 — ავტომატის ყუმბარმტყორცნი, 58 — ტყვიამფრქვევის ვაზნა, 4 — ავტომატის მჭიდი, 1 — უნომრო ყუმბარმტყორცნი, 162 — ავტომატის ვაზნა, 7 — ყუმბარმტყორცნის ჭურვი სასტარტო მუხტით და 8 ცალი „რგდ-42“ საბრძოლო ხელყუმბარა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო მოკვლევა.

ქურდები ინსტიტუტში

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს თბილისში, ხანდრო ულის ქუჩა № 1-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორია.

ქურდებმა მოიპარეს იაპონური წარმოების კომპიუტერი.

საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკის განყოფილება.

დამნაშავეებს საკადრისად მიეზღოთ

1996 წლის 26 ივნისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ე. ბოჭორიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე ძმები ფარულიების მიმართ, გამოძიებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ. დამნაშავეებს ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი, ეროვნებათაშორის შუღლის გაღვივება, ოჩამჩირის და გალის რაიონში მშვიდობიან მცხოვრებლებზე ბანდიტური თავდასხმები, მათი ძარცვა-აწიოკება და სხვა დანაშაული, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა.

სასამართლომ ძმებ ფარულიებს მიუსაჯა 14 და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი გაპროტესტებას არ ექვემდებარება.

საქართველოს პროკურატურის პრესცენტრის ცნობა

1995 წლის ივნისში გალის რაიონის სოფელ განახლებაში იგივე სოფლის მკვიდრმა გია გითოლენდიამ ცეცხლი წაუკიდა და დაწვა ხახუბების საცხოვრებელი სახლი. გ. გითოლენდია იმალება. მასზე გალის რაიონის პროკურატურის მიერ გაცემულია დაპატიმრების სანქცია და გამოცხადებულია ძებნა.

• • •

დამთავრდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე დიმიტრი ივანეს ძე წვიჯბას მიმართ, რომელსაც ბრალი ედება სამშობლოს ღალატში, ეროვნული თანასწორუფლებიანობის დარღვევასა და ბანდიტიზმში.

წვიჯბა დააპატიმრეს 1995 წლის დეკემბერში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის სანქციის საფუძველზე.

საქმე წარმოებაში აქვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს.

სისხლის სამართლის საქმე გასაცნობად წარედგინა ბრალდებულსა და მის ადვოკატს — თარჯიმნის მონაწილეობით.

გლდანში შესაძლოა ინფექციამ იფეთქოს!

გლდანის მე-3 მიკრორაიონი 1987 წელს გაშენდა. მოგეხსენებათ, მაშინ ასეთი არეული დრო არ იყო და ამ ტერიტორიაზე გამავალი არხის მშენებლობა, რომელშიც კანალიზაციის წყლები ჩადის, პარალელურად მიმდინარეობდა. მაგრამ აირია ქვეყანა და ჩვენი არხიც ვის გაახსენდა. მას შემდეგ არხი ღიაა. წარმოიდგინეთ მოსახლეობის მდგომარეობა კანალიზაციის გაუსაძლის სუნში. განსაკუთრებით მაშინ, როცა წყალი არ მოდის. წყალი კი ჩვენს მიკრორაიონში გრაფიკითაა. ერთი სიტყვით, ცხოვრება შეუძლებელია. კი ბატონო, მოვითმენთ უწყლობას, უშუქობას, სხვა გაჭირვებას, მაგრამ ამის ატანა ყოვლად შეუძლებელია. სხვა თუ არაფერი, ინფექციის აშკარა კერაა. ჩვენს რაიონში ხშირად იცვლება გამგებლები. არავინ არ მოგვხედა. ახლა ახალი გამგებელი გვყავს — იოსებ ცამაკიძე. აქებენ, ახალგაზრდა, ენერგიული კაციაო. იქნება ბატონი იოსები დაინტერესდეს ჩვენი გაჭირვებით. იქნება გულთან ახლოს მიიტანოს ჩვენი ასეთი მძიმე მდგომარეობა. თუ ზომები არ იქნა მიღებული, გლდანში შესაძლოა ინფექციამ იფეთქოს!

გლდანის მე-3 მიკრორაიონის 21, 23, 24 კორპუსების მცხოვრებლები.

გერმანია-ინგლისი 1:1 (6:5 პენ.).

ფეხბურთი უკვდავია! ამ მოსაზრების მართებულობა ევროპის ჩემპიონატზე გამართულმა ინგლის-გერმანიის ნახევარფინალურმა შეხვედრამ დაადასტურა.

უმაღლესი ტემპი, დიდოსტატური კოლექტიური და ინდივიდუალური შეტევები, სამაგალითო თავგანწირვა და, რაც ასეთი რანგის გუნდების მნიშვნელოვანი მატჩებისათვის იშვიათია, არავითარი ანტიფეხბურთი. საოცარია, საიდან აღმოაჩნდათ მეტოქეებს ძალები, რათა დამატებითი დრო ფანტასტიკურ სანახაობად ექციათ. ეს დუელი, ვფიქრობ, ტურნირის ნაადრევი ფინალი იყო. მისმა გამარჯვებულმა — გერმანიის ნაკრებმა კი ურთულეს ვითარებაში ფსიქოლოგიური სიმტკიცის გამოჩენით კიდევ ერთხელ დაამტკიცა მარადიული ამბიციურობის საფუძვლიანობა. ღალად მოთამაშე მასპინძელთა შესახებ კი ნახევრად ხუმრობით შეიძლება ითქვას, რომ მათ ესპანელთა ცოდვამ უწიათ (გემახსოვრებათ, როგორ დაეხმარა მათ ფრანგი მსაჯი ბატა მეოთხედფინალურ ორთაბრძოლაში)...

ჩეხეთი-საფრანგეთი 0:0 (6:5 პენ.).

ძირითადი შემადგენლობის ოთხი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დარჩენილმა ჩეხებმა დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს და უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე პენალტებამდე, სადაც მათმა მეკარე კოუბამ იყოჩაღა, პედროსის მიერ უხეიროდ დარტყმული ბურთი მოიგერია და თავის გუნდს ფინალისკენ მწვანე შუქი აუნთო.

ამრიგად, კვირას, 30 ივნისს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გამოერკვევა ევროპის ჩემპიონატის ოციწლისწინანდელი ფინალი — გერმანია-ჩეხეთი. შეგახსენებთ, რომ მაშინ პენალტების სერიით ამ უკანასკნელებმა გაიმარჯვეს. ვინ იმძლავრებს ამჯერად?

ჩეხებს დაემატებათ დისკვალიფიკაციამოხდილი სუხოპარეკი, ბეიბლი და კუკა. გერმანელებს კი ორ-ორი გაფრთხილების გამო დააკლდებათ როიტერი და მიოლერი, სათუოა აგრეთვე ტრავმირებული კლინსმანის მინდორზე გამოსვლაც. მატჩს იტალიელი პიერლუიჯი პაირეტო იმსაჯებს.

გია პლატონიშვილი.

ჩოგანი

ზესტაფონში ემზადებიან უეფას თასისათვის

რაც ზესტაფონის „მარგვეთმა“ ევროტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, რაიონის ხელმძღვანელობამ სულ სხვანაირად შეხედა ყველაფერს.

ჯერ დიდებულად იზეიმეს ქვეყნის პირველობაზე მეორე ადგილზე გასვლა და ვერცხლის მედლების გადაცემა, ხოლო შემდეგ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის საქმეს.

გამგეობის მიერ შეიქმნა სტადიონის რეკონსტრუქციის სპეციალური შტაბი გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ლევან გვლესიანის** თავმჯდომარეობით.

განისაზღვრა, რომ ძირითადი სამუშაოები ჩატარდეს ფეროშენადნობთა ქარხნის ძალებით და სპეციალისტებით.

პირველი საკითხი იყო სტადიონის და მისი ნაგებობების მსოფლიო სტანდარტების დონეზე მოწესრიგება, რომელიც უეფას წარმომადგენლის მონაწილეობით განისაზღვრა.

დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდება სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე. საჭიროა პრესლოჟის ხელახლა მოწყობა, ტელერადიოკომენტატორთა ექვსი ჯიხურის მიშენება, ტრიბუნის ქვეშ ეწყობა საპრესკონფერენციო დარბაზი, ბარი, სანიტარული კვანძები, აღმოსავლეთი ტრიბუნა ნაწილობრივ გადაკეთდება.

სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი ფეხბურთელთა გასახდელებსა და საშხაპეებში, კეთილმოსაწყობია მატჩის კომისრის და არბიტრების ოთახები, დოპინგკონტროლის და სამედიცინო პუნქტის სათავსები.

ამ სამუშაოებისათვის ბანკებში უკვე გაიხსნა სპეციალური ანგარიში, სადაც მოხდება გულშემატკივრების, ბიზნესმენების და წარმოება-დაწესებულებებისაგან გაღებული ფინანსების თავმოყრა.

სამუშაოები და საჭირო თანხები სოლიდურია, რეკონსტრუქციის გეგმა შედგენილია. ახლო მომავალში ზესტაფონელი გულშემატკივარი მიიღებს ევროტურნირისათვის განკუთვნილ სპორტულ ნაგებობას.

ჰენრი შარიქაძე.

კვლევა

პატივცემული დი[illegible]

იცით თუ არა, რომ ადამიანის და ცხოველის „მეორე ტვინი“ მუცელშია?

არასდროს გიფიქრიათ, რომ მუცელი ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია? არც ერთ ორგანოს არ უთმობს ადამიანი ისეთ ყურადღებას, როგორც სტომაქს, მუცელს, ხშირად კი აღმერთებს მას. აქედან მომდინარეობს გამოთქმა — „მუცელღმერთა“. იგი ხშირად იდუმალი სურვილის გამოხატულებაც არის. იტყვიან ხოლმე, ამ კაცს რაღაცის მუცლის გვრემა აქვსო, ანუ რაღაც სწადიაო. ერთი სიტყვით, მუცელთან ბევრი საიდუმლოა დაკავშირებული. ალბათ, ამიტომაც არის, რომ კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს ესოდენ დიდ პატივში ჰყავს მუცელი.

ის ამბავი, რომ დიდ ხალხს გულის შეტევები აწუხებს, საყოველთაოდ არის ცნობილი. მაგრამ არანაკლებ თანამედროვობის პირებს აწუხებს კუჭის აშლილობაც. ავიღოთ თუნდაც ნაპოლეონი. მას თითქმის ყველა სურათში მარჯვენა ხელი მუცელზე უდევს. ეს მხატვართა გამონაგონი როდია. ბონაპარტი საბოლოოდ კუჭის ავადმყოფობამ მოინელა.

მედიკოსებისათვის კარგად არის ცნობილი ნერვული სტრესის ნიადაგზე ყაბზობის ან აშლილობის შემთხვევები. ფიზიოლოგები დიდი ხანია ცდილობენ, ახსნან ემოციების გამოძახილი მუცელში. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს ინგლისელმა ექიმმა ნიუპორტ ლენგლიმ დაადგინა, რომ კუჭ-ნაწლავში ყოფილა 100 მილიონამდე ნერვული უჯრედი — მეტი, ვიდრე ზურგის ტვინში. საოცარი ის არის, რომ აღნიშნული უჯრედები არ უკავშირდებიან იმ მცირე რაოდენობის ნერვულ ბოჭკოებს, რომლებიც უჯრედებს თავის ტვინთან აერთებენ. არადა, მეცნიერები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყველა ბრძანებას სხვადასხვა ორგანოები სწორედ თავის ტვინისაგან იღებენ.

ძირითადი გზა, რომელიც თავის ტვინს აკავშირებს საჭმლის მომნელებელ ნერვულ ცენტრთან, — ეს არის ვაგუსი (ცთომილი ნერვი). იგი განიტოტება სულ რამდენიმე ათას უწვრილეს ბოჭკოდ, რომლებიც საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ნერვულ ენტეროსისტემაში შედის. მაშინ როგორ ახორციელებს ტვინი სტომაქის ხელმძღვანელობას, თუ ნერვული კავშირების რიცხვი ამისათვის აშკარად არ არის საკმარისი? ამ პრობლემების გადაჭრაზე საუკუნის ბევრი გამოჩენილი მეცნიერი იტეხდა თავს.

მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ საჭმლის მომნელებელ ტრაქტს შეუძლია დამოუკიდებელი ფუნქციონირება: მასაზრდოებელ სითხეში მოთავსებული კუჭისა და ნაწლავების სეგმენტები განაგრძობენ თავიანთი ფუნქციების შესრულებას. მაშასადამე, ყოფილა რაღაც ადგილობრივი ავტონომიური სისტემა, რომელიც დამოუკიდებლად ართმევს თავს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მართვის ამოცანას ისე, რომ არ სჭირდება „ზემოდან ხელმძღვანელობა“. ეს არის ერთგვარი „მუცლის ტვინი“, რომელიც პასუხს აგებს კუნთოვანი ქსოვილის, ლორწოვანი გარსის, იმუნური უჯრედების ფუნქციონირებისათვის. ყოველივე ეს გასაგებად იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ მოითხოვა მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის — ნეიროგასტროენტეროლოგიის შექმნა.

მოგვიანებით გამოირკვა — „ტვინის გადანაწილება“ ხდება დედის საშოში, ემბრიონული განვითარების სტადიაზე. თავდაპირველად ნაყოფს აქვს მხოლოდ ნერვული უჯრედის კოლტი, შენადედი, რომელიც შემდგომ თითქოს ორად იყოფა. ერთი დასაბამს აძლევს თავის ტვინს, მეორე — „მუცლისას“. ხოლო კავშირს მათ შორის ახორციელებს ვაგუსი.

ამან, სხვათა შორის, ახსნა ახალშობილის ორგანიზმის ფუნქციონირების მექანიზმი. ახალშობილი ხომ დაბადებისთანავე იწყებს ჭამას და საჭმლის — ხსენისა და დედის რძის მონელებას. ამ დროს თავის ტვინი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და მაშასადამე, ჭამასმისათვის პასუხისმგებელი ნერვული ენტეროსისტემა თავის ტვინზე უფრო ადრე ყალიბდება და ევოლუციურად მას უფროს ძმად ეკუთვნის.

კავშირი „ქვედა“ და „ზედა“ ტვინს შორის ასე ხორციელდება. თუ ქვევით რაღაც ხდება, უბედურების ნიშანი ზევით გადაიცემა ვაგუსის მეშვეობით, ხოლო ზემოდან მნიშვნელოვანი მითითება ქვემოთ გადმოიცემა მოტორული ნერვული ბოჭკოების მეშვეობით.

მსოფლიოში, ალბათ, მკვლევართა ათიოდე ჯგუფი თუ მოიძებნება, რომლებიც ცდილობენ დეტალურად გაერკვნენ ორივე ნერვული ცენტრის თანამოქმედებაში.

მკვლევარებმა უკვე გამოიკვლიეს შაკიკის — აუტანელი თავის ტკივილების ბუნება. შაკიკისათვის პასუხისმგებელია სეროტონინი, რომლის წყაროა „ქვედა ტვინი“. აი, ასეც ხდება ხოლმე — მუცლის გვრემა თავის ტკივილს იწვევს... ჩასწვდნენ რა შაკიკის ბუნებას, მეცნიერებმა ახალი შაკიკსაწინააღმდეგო სამკურნალწამლო პრეპარატები შექმნეს.

ახლა დღის წესრიგშია ქრონიკული ყაბზობისა და აშლილობის, საჭმლით გამოწვეული ალერგიების წინააღმდეგ ბრძოლა.

უცხოური პრესის მასალების მიხედვით.

• საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან არსებული

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1996-97 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

☐ 1. აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი-პოლიტოლოგი;
☐ 2. აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, რეფერენტი-მთარგმნელი, ჟურნალისტი-პოლიტოლოგი;

ინსტიტუტი ამზადებს საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების განხრით. სტუდენტები შეისწავლიან ერთ-ერთ ძირითად აღმოსავლურ ენას (არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული, ჩინური, იაპონური, ჰინდი), ევროპულ ენებსა და ზემოთ დასახელებული სპეციალობებისათვის აუცილებელ დისციპლინებს.

ინსტიტუტში სწავლას უძღვებიან თვალსაჩინო ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები და უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საზღვარგარეთ სტაჟირებით (ეგვიპტე, სირია, ისრაელი, თურქეთი, ირანი, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი).

ინსტიტუტში შემსვლელები ჩააბარებენ გამოცდებს უცხო ენაში, ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში.

მისაღები კონკურსი დაიწყება 3 აგვისტოს.

საბუთები მიიღება 1 ივლისიდან მისამართი:

აკად. გ. წერეთლის ქ. №3, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (ვაკის პარკთან), III სართული, ოთახი №314,
ტელ: 23-08-83; 29-08-64; 23-18-73.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

არ შეუძლიათ არ იმრუშონ, არ იპარონ, არ მოკლან

მათ ქრისტიანული მორალის ყველა ნორმა დაარღვიეს

ნარკომანიასა და პროსტიტუციაზე ახლა ყველა წერს.

წალენჯიხელი 32 წლის ნატო გვ. მაინც გამოუცდელი „მამაშაა“. არ გაუწია სტამბულის ბაზრისკენ გულმა. — გოგოებო! ჯერ თბილისი მოვიციოთ, ფეხი ავიდგათ!.. თავდაპირველად გადაწყვიტა პატარა გარყვნილების ბუდე მოეწყო, გზასაცდენილი გოგოები, თბილისის უხეში და წუწკი კლიენტურისაგან გზებსა და გზაჯვარედინებზე, ქარსა და ავდარში ათასგვარ დამცირებას რომ იტანდნენ, შეეხიზნავებინა, დედოფლებივით გამოეწყო!

— თბილისში სხვა რას უნდა გადააყოლოს გული კაცმა? მოვიდა, გადაიხადა...

გვერდს 25 წლის ხათუნა ჯ. და 23 წლის თამარ კ. უმშვენებენ. მოქნილი ზოგონები არიან. გეგონება, ენაზე ბუდბუდები უზიანო... ჭიკჭიკებენ და ჭიკჭიკებენ. ექიმი-ვენეროლოგის დასკვნა რომ არ გედოს წინ, იფიქრებ, მართლა ანგელოზები არიან, ეს-ეს არის სამოთხიდან მოფრინდნენ და გული უნდა გაგვიხალისონო. ვინ იცის, რამდენ ბრიყვსა და უბედურს „გაუხალისეს“ გული — ვენერიული დაავადებები შეჰყარეს. საქართველოში მეძავობაც არ არის იოლი: ან დაგასნეულებენ, ან დაასნეულებ... მოკლედ, წამებაა!

ასე რომ, გაფრთხილდით ვნებას აყოლილო მამაკაცებო: ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის, „ჭიკჭიკებს“ — ბულბული არ არის... და ვინც ყურანზე დაიფიცებს, ანუ მუსულმანია, მორწმუნე არ არის: დმანისში 16 წლის მახვაში სამი წლის სონას გაუპატიურებას აპირებდა.

დაუჯერებელია?

შესაძლოა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია.

სოხუმის დაცემის შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ კრებსებში საერთოდ აღარ გაჟღანებულა ინფორმაცია აფხაზეთში მომხდარი დანაშაულობების შესახებ. ახლა რამდენიმე ადგილას „ვაგერის“, „ოზურგეთისა“ და „ბათუმის“ გვერდით... „აფხაზეთსაც“ მოვკარი თვალი. ეს შეიძლება თავის მოტყუებაა, გამღიზიანებლად მოქმედებს, მაგრამ სასიხარულოა, რომ აფხაზეთი გვახსოვს, იმედისმომცემია: 20 წლის სოსო გენადის ძე მესხია, ედგარ ინვერის ძე ელიავასა და გულად ნიკოლოზის ძე ხუფაცარიასთან ერთად გალის რაიონის სოფელ განახლებაში მოქალაქე ი. თ.-ს სახლს დაესხა თავს. რა უნდა ეპოვათ გარეშე და შინაური მტრის ხელით გაძარცულ ოჯახში? მართლაც 150 კილოფი „ასტრის“ მეტს ვერაფერს მიაგნეს. გაშმაგდნენ, გამხეცდნენ და ოჯახის დიასახლისი გააუპატიურეს. სიგარეტის წალებაც არ დავიწყებიათ...

სოსო მესხია დაპატიმრებულია, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული. იგი მოთავსებულია საგამოძიებო იზოლატორში. სხვა დამნაშავეებზე გაცემულია დაპატიმრების სანქცია და იძებნებიან: გამოძიება გრძელდება.

რა თქმა უნდა, ეს არ არის ის ფაქტი, დღევანდელ აფხაზეთის კრიმინოგენულ მდგომარეობას რომ დაახასიათებს. იქ გაცილებით მძიმედ არის საქმე. რატომ იკლავენ თავს? ერთიან ქვეყანაში, რომელიც ნელ-ნელა აღმშენებლობის გზას დაადგა, ბოლო მოუღო ქაოსს, თავზეხელაღებულ ბანდიტურ ჯგუფებს, უფრო იოლი არ იქნება ამ ძირძველ ქართულ თვალწარმტაც რეგიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა?

აფხაზეთში ნარკომანია, ნარკობიზნესი და პროსტიტუციაც ჰყვავის. გასაკვირიც იქნებოდა, რომ ამდენი ბოროტებისა და მისხლის შემდეგ სხვა რამ ჰყვაოდეს!

„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

თუ გინდათ ბედნიერი და ძლიერი საქართველო ააშენოთ, საქვეყნო საქმეს ამ დევიზით უნდა ემსახუროთ.

თემურ გლუნჩაძე თავისი ოცეულით გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში ნავთობმომპოვებელი ჭაბურღილების დასაცავად გაამწესეს. იდგა გლუნჩაძე პოსტზე და არ შეეძლო, არ მოეპარა.

75 ტონა ნავთობპროდუქტები დაიტაცა და ჩაღის ფასად (ერთი ლიტრი სამ თეთრად) გაყიდა. გვარიანი თანხა დაუგროვდა. უკმაყოფილო არ იყო.

ერთი კვირის წინათ მთაწმინდის რაიონის პოლიციის სამმართველოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეროვნულ ფასეულობათა ფონდის თავმჯდომარემ მიმართა: ფონდის განყოფილების უფროსის სამუშაო კაბინეტიდან ერთი კილოგრამი ოქრო და სამი 500-ლარიანი საიუბილეო ოქროს მონეტა მოიპარესო. პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა მეორე დღესვე დააკავა ქურდობაში ეჭვმიტანილი, ეროვნულ ფასეულობათა ფონდის განყოფილების უფროსი, 48 წლის გრიგოლ კალანდაძე; მას 1,6 კილოგრამი ოქრო, 200 კილოგრამი ვერცხლის ზოდები და 1,8 კილოგრამი პლატინა ამოუღეს.

ასე ემსახურებოდა სამშობლოს კალანდაძე, საკუთარი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და არამი შემოსავლით ჯიბის გასქელებისათვის ზრუნავდა! სახელმწიფო ქონებაზე მიუწვდებოდა ხელი და არ მოეპარა, არ შეეძლო!

32 წლის პოლიციელს შაქრო დ-საც „არ შეეძლო სხვაგვარად“. მკვლელებს ნაძარცვის რეალიზაციაში ეხმარებოდა. ორი წლის წინათ, თბილისელ ცოლ-ქმარს ლენა ნაუზოვასა და ნური ქანთარიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“ მიუვიდნენ. ძვირფასეულობა, ფული და სხვადასხვა ნივთები მოსთხოვეს. წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, უბედურ ცოლ-ქმარს ბასრი საგნით მრავალი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. ბინა გაძარცვეს. ერთი ანტიკვარული საათი თეთრიწყაროში ვინმე მიკირტუმაშვილისათვის მიეყიდათ, დანარჩენი ნივთების ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია.

ერთი ყაჩალი რევაზ პ. მაშინ 15 წლისა იყო, მეორე სოსო რ. 19-ისა.

სწორედ მათ ეხმარებოდა საკუთრების დაცვის პოლიციელი.

ასეთი დამნაშავეების გვერდით ჩვენი მეძავი გოგოები კრავებს ჰგვანან. მაგრამ რამდენი ნატო და ხათუნა ვიცი, ფულიან ყაჩალ-მკვლელებს რომ „ეკვრებიან“, ბევრჯერ თვითონაც ყაჩალობენ, სარეცელსაც უნაწილებენ...

ცხრა თვეში (ხშირად შვიდში, ან უფრო ადრეც) დაიბადება ბავშვი... რომელსაც სურს თუ არა, ცხრა-ათ წელიწადში მშობლების გზას დაადგება.

ზაურ მაკარაძე.

აბჯარი

ახალგაზრდობის წმიდათაწმიდა ვალი

ქართული ჯარის აღმშენებლობა დღეს ჩვენი სახელმწიფოს უმთავრესი საქმეა. დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ სამშობლოს დაცვა სჭირდება და ეს საქართველოს ყოველი მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა, რაც კონსტიტუციური მოთხოვნაც არის. სამწუხაროდ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი სხვაგვარად ფიქრობს და თავს არიდებს ეროვნულ ჯარში სამსახურს.

— საზაფხულო გაწვევის დავალება ვერ შევასრულეთ, 141 წვევამდელიდან მხოლოდ 55 წავიდა ჯარში, — გულისტკივილით ამბობს ბორჯომის რაიონის სამხედრო კომისარი, უფროსი ლეიტენანტი ავთანდილ ტივაძე. პასუხობენ დაბებისა და სოფლების საკრებულოები. იძულებულნი გავხდით 38 წვევამდელის საქმე პოლიციისათვის გადაგვეცა. ისინი კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

გვეამაყება, როცა სამხედრო ნაწილიდან მადლობის ბარათი მოგვდის იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც კეთილსინდისიერად იხდიან სამხედრო სამსახურს და გული გვტკივა, როცა წვევამდელი ჯარში სამსახურს თავს არიდებს.

საქინფორმი.

ბიზნესმენთა საყურადღებოდ!

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის № 273-11 „ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის დაბეგვრის წესისა და დაბეგვრისაგან გათავისუფლებული საქონლის ნუსხის შესახებ“ დადგენილების თანახმად, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№ 118,19.06.96 წ), საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი თავს ვალდებულად თვლის კიდევ ერთხელ შეახსენოს საქართველოს მოსახლეობას, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ყოველი შემოსვლისას შემოტანილი დაბეგვრისგან გათავისუფლებული 300 ლარამდე ღირებულების საქონლად (მითითებული დადგენილების შესაბამისად) ჩაითვლება არა უმეტეს 50 კგ. საერთო წონის ტვირთი.

ამ ფარგლებში შეიძლება შემოტანილ იქნეს აქციზური საქონელი:

1. ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი — 3 ლიტრი;
2. ლუდი — 10 ლიტრი;
3. თამბაქოს ნაწარმი — 200 ღერი;
4. მანქანური ქსოვის ხალიჩის ნაწარმი — 1 ცალი;
5. მსუბუქი ავტომობილის საბურავი — 4 ცალი;
6. ძვირფასი ლითონისგან, მელქიორისგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი — 1 ცალი. აგრეთვე ერთი პირისთვის საჭირო ოდენობის სამკურნალო პრეპარატები და სამედიცინო დანიშნულების საგნები.

ფიზიკური პირის მიერ არაკომერციული დანიშნულებით შემოტანილი 50-დან 100 კილოგრამამდე წონის ტვირთი იბეგრება საბაჟო გადასახადით 1 ლარით ყოველ კილოგრამზე.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ერთჯერად 100 კილოგრამზე მეტი წონის ტვირთის ან ერთგვაროვანი საქონლის 20 კილოგრამზე მეტი ოდენობით შემოტანა განიხილება, როგორც საქონლის კომერციული მიზნით შემოზიდვა და დაიბეგრება საერთო რეჟიმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში დროებით შემოტანილი ან საქართველოდან დროებით გატანილი საქონელი ფიზიკური პირის მიერ შეიტანება საბაჟო დეკლარაციაში.

საქართველოს პარლამენტის ზემოთ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად, საბაჟო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული და მიღებულია „მეთოდური მითითებები ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის დაბეგვრის წესის შესახებ“, რომელიც სრულად დაიბეჭდა საბაჟო საუწყებო გაზეთში.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თქვენთვის საინტერესო საკითხზე **გთხოვთ მიმართოთ**

საბაჟო დეპარტამენტს **(ტელ: 98-80-47),**
თბილისის საბაჟოს **(ტელ: 96-84-86),**

აგრეთვე ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, სამცხე-ჯავახეთის (ქ.ახალციხე), ქართლის მოძრავ (ქ.გორი), ქვემო ქართლის (ქ.რუსთავი), კახეთის (ქ.გურჯაანი) საბაჟოებს და ყაზბეგის საბაჟოს გამშვებ პუნქტს.

ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელმაც დატოვა საქართველოს ტერიტორია წლეულს 1 ივლისამდე, ვრცელდება საქართველოს პარლამენტის აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები (1ივლისის შემდეგ საქართველოში დაბრუნების შემთხვევაშიც).

საქართველოს საბაჟო
დეპარტამენტის თავმჯდომარის
მოადგილე

ვ. კადენეცი.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1996-97 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე:

- დღის განყოფილება: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და რუსული ენების სპეციალობით.
- საღამოს განყოფილება: ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენების სპეციალობით.

საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით.

ღია კარის დღე ჩატარდება ინსტიტუტის საქტო დარბაზში 1996 წ. 30 ივნისს, დღის 12 საათზე.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 45.

☎ ტელ: 23-05-03.

მეუღლე დათო, შვილები ბაია, გურო გადაბაძეები, დედა ციალა, მამა გურამ, და ნანა გიორგობიანები, დისწულები დათო, ნიკა, დედამთილი ეთერი, მული ნინო გადაბაძეები, მულიშვილები გიგი, დათო, დეიდა მარინა გიორგაძე, დეიდაშვილები თათული, ეკა, სიძეები ირაკლი იანქოშვილი, ანზორ მლებრიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამრიკო გურამის ასული გიორგობიანი

პანაშვიდი 28, 29 VI, 5 ს., გამოსვენება 30 VI, 3 ს., ი. ჭავჭავაძის № 62, IV სადარბაზო.

მეუღლე ზურაბი, შვილები დარეჯანი, თეიმურაზი, შვილიშვილები მიშიკო, დათო მახარაშვილები, ნინო, თათია, რუსუდან ჩივაძეები, რძალი მაია სოლოლაშვილი, ძმა ვახტანგი, და ჟუჟუნა გოგუაძეები, მული სალომე ჩივაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ნიკოლოზის ასული გოგუაძე-ჩივაძე

პანაშვიდი 28 VI, 4 ს., გამოსვენება 29 VI, 3 ს., გომარეთის ქ. № 5 (ლოტკინის დასახლება).

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ეძღვნება ... ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ეკისხვერდიანია.

მორიგე რედაქტორი გონდო მძინარაშვილი.

გამომცემელი - შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24. მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.